321/09
321/09
1250

ჩვენი ცხოვრება

ეროვნულ-კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ.-გაზეთი

№ 1 1290 25 მაისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი, ონ-სა.—უმეცრების რახა-რუხი, ივ. გომართლისა.—სხვა-და-სხვა ამბები (ჩვენისა და რუსეთში).—სახელმწიფო დუმა.—მოგონება, (ლექსი), სპ. ჭელიძის,—ფაბრიკა (მოთხრობა), პ—ე ხიდისთაველისა.—შავი ქვის მრეწველთა სიეზდი ქუთაისში, დ. ს.—პროვინცია.—მუშათა შორის.—უცხოეთი.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—განცხადებანი.

ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი.

I. წინასწარი მოსაზრებანი.

1284

თანამედროვე მკითხველს ალბათ არა ერთხელ გაგონია, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიის ბაირაღია, ხოლო ინტერნაციონალიზმი სხვილი ასოებით წარწერილია პროლეტარიატის დროშაზე... მაგრამ რას ნიშნავს ნაციონალიზმი ან რას წარმოადგენს ინტერნაციონალიზმი? რას შეიცავს ან ერთი ან მეორე, როგორია მათი ურთიერთშორისი განწყობილება? აი ეს კი, სამწუხაროთ, არამც თუ ფართე მასსას არ გაეგება სავსებით, თვით ჩვენ მკითხველთა ვიწრრთ შემოფარგლულ წრეებსაც არა აქვს კარგათ გათვალისწინებული. და ეს არც საკვირველია,—მით უფრო, რომ ლიტერატურასა და პრესაში თვითეულ აღნიშნულ ტერმინს სხვა და სხვა აზრით ხმარობენ, ხშირათ ერთი და იგივე მწერალიც კი, მათ სხვა და სხვა მნიშვნელობას აძლევს. ამას დასძინეთ ისიც, რომ ხშირათ პარტიულ ბრძოლის ვნებათა ღელვა მეტათ ართულებს და ხლართავს საკითხის გარკვევას. მოვიყვანოთ მაგალითი ამ რამდენიმე თვის წინათ ერთი ს. დ. გაზეთი თავის საპოლემიკო წერილს იმით აბოლოებდა, რომ ს. ფ—ს ურჩევდა პირბადე აეხსნათ და აშკარათ მდგარიყვენ ნაციონალისტების ბანაკში. ამაზე მოწინააღმდეგე ორგანო ამაყურათ უპასუხებდა: „ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს ქართველ ნაციონალისტებთანო!“ რამდენიმე კვირის შემდეგ იგივე ს. ფედ. ორგანო სწერდა: „ადამიანთა საზოგადოების განვითარება ორ ღერძზე ტრიალებს; ერთია კლასთა ბრძოლა და მეორე ნაციათა ბრძოლა, ამიტომ ჩვენი მიზანია ჰარმონიულათ შეეერთოთ ნაციონალიზმი და სოციალიზმი. ეს. ხ. ფ. ხან იცავენ და ხან უარყოფენ ნაციონალიზმს. სოც. ფედერალისტების ბანაკში არც შეიძლება უკეთ იყოს საქმე დაყენებული. მაგრამ ჯეროვან ვითარებას ვერა ვხედავთ ვერც დღევანდელ ჩვენს ს. დ. პრესაში.

ანმა ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა, სადაც ის არკვევს აღნიშნულ საკითხთ. სიმართლე უნდა მივუძღოთ, ეს წერილები უფრო საყურადღებოა და სერიოზული, ვიდრე ყველა ის, რაც კი ხსენებულ საგანზე ქართულ პრესაში დაიწერა ამ ბოლო ხანებს. ანი აღვევს ნაციონალურ ბრძოლის ზედა პირს, ცდილობს ჩაგვახედოს მის გულის სიღრმეში და გვაჩვენოს თუ იქ როგორ არის ჩაქსოვილი კლასიური ინტერესები; მაგრამ, სამწუხაროთ, ამ თვალთა ხედვის წერტილს იგი ბოლომდის ლოგიკურათ ვერ ატარებს, მას წამ და უწუმ სცდება; ამიტომ მის წერილებში სწორე და მრუდე შეხედულებანი ერთმანეთს სცვლიან და ბოლოს ხელში გვრჩება ყალბი დასკვნები საკითხის როგორც პრინციპიალურ, ისე პრაქტიკულ სფერაში.*) აქ ჩვენ მხოლოთ პირველს ვეხებით.

ანი ამხედრებულა წინააღმდეგ ნაციონალიზმისა, ე. ი. ბურჟუაზიულ ნაციონალურ პოლიტიკისა; ეს გასაგებია და სრულიად სამართლიანიც დაჩაგრულ კლასის იდეოლოგისაგან. მაგრამ ანი თავის ამხედრებაში ისე შორს მიდის, რომ მას მთელი საქართველო ეჩატება გაყოფილი ორ **სამარ** ბანაკათ. „დიახ,—სწერს იგი—საქართველო ორ ბანაკათ არის გაყოფილი, რომელთა შორის სამკვდრო სასიცოცხლო ომია“. ერთ ბანაკს შეადგენს სოც.-დემოკრატია, ხოლო მეორე მხრით დგანან „სოც.-ფედერალისტები, ანარქისტები, პროგრე-

*) რითი აიხსნება ანის ამგვარი უცნაურობა? შეიძლება ასე მოსდიოდეს პოლემიკის ყინიანობით, ან შეიძლება მას ჯერეც თავი ვერ დაუღწევია გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზისათვის; თუმცა ამ უკანასკნელისაგან ის თავისუფალი იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის უმალვე, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ იქ ჯგუფმა, რომელმაც ანი თითქმის იმ თავიდანვე ხელში აიტაცა საგზგმანებლათ, მაგრათ შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის ბარტახებით.

სისტ-დემოკრატები და კადეტები“ ერთი სიტყვით ყველანი და ყველაფერი, გარდა სოც-დემ-სა. მათი „საერთო თვისებაა ნაციონალური ავტონომია და ამ ბაირაღით მოდიან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ... ეს ერთი დიდი რეაქციონური მასსაა... მათთან საერთო აღარ გვაქვს რა და ეს დროა შეიგნონ ყველა ამხანაგებმა. ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი“... („დასაწყისი“ №23) და ამ ბრძოლის ყიჟინით ანი იმდენათ არის გატაცებული, რომ მას აღარ შეუძლიან პასუხი გასცეს შემდეგ უბრალო საკითხზე: დაჩაგრულ ერის და გაბატონებულ ერის ნაციონალიზმი ერთიმეორისაგან განსხვავდება რითიმე თუ არა? ყველა თანამედროვე, ჭკუითა მყოფელმა ადამიანმა იცის, რომ თუ გაბატონებულ ერის ბურჟუაზია აწარმოებს სხვისი დაპყრობის, მოსპობისა და განადგურების პოლიტიკას, დაჩაგრულ ერის, ყოველ უფლებებს აყრილ ერის ბურჟუაზიას, ძალიანაც რომ უნდოდეს, არ შეუძლიან ასეთი პოლიტიკის ამუშავება; ეს პირიქით, ზოგჯერ იძულებული ხდება წამოაყენოს პირდაპირ რევოლიუციონური მოთხოვნა და თითქმის ყოველთვის გამოდის ეროვნულ თავისუფლების მოსარჩლეთ, რაც, თქმა არ უნდა, სრული თანაგრძნობის ღირსია დაჩაგრულ და გაყვლეფილ კლასის მხრივაც. ასეთ ნაციონალიზმს გვიჩვენებს მაგ. პოლონეთის ბურჟუაზია, რომელსაც თავისათ გამოაქვს პოლონელ სოციალ-დემოკრატიის ეროვნული მოთხოვნა; პირველ ჯურის ნაციონალიზმს აწარმოებენ მაგ. ბისმარკ-ბიულოვები, ანუ, შორს რომ არ წავიდეთ, იგივ დუბროვინ-კრუშევან-პურიშკევიჩები, გუჩკოვები და კიდევ მათზე მაღლა მდგომი ბობოლები. როცა ეს ორ გვარი ნაციონალიზმი აღნიშნა გაზ. „ფარმა“ (№5, 1908 წ.) და იგი შეეკითხა ანს—არის თუ არა მათ შორის რაიმე განსხვავებაო, ანის პასუხი იყო: „მთელი მისი („ფარის“) დავა მხოლოთ გახელებულ კაცის სევდაა და ნამდვილ ცხოვრებასთან კავშირი არა ქვს“. („აზრი“ № 7). ასეთი პასუხი რომ—მეტი არა ვთქვათ—უსაფუძლოა, ეს თვითონ ანმაც იგძნო, მარა საკმაოთ გვიან, ორ თვე ნახევრის შემდეგ. „ფარი“ მას ეკითხებოდა 4 თებერვალს, ანმა კი მხოლოთ 19 აპრილს მოახერხა თავისი პასუხი ასე გაესწორებინა: „ჩვენ, რასაკვირველია, სახეში არასოდეს არ გვქონებია მეორე ტიპის (ე. ი. ბისმარკ ბიულოვის, გაბატონებულ ერის) ნაციონალიზმი, ის იმდენათ დუხჭირია, რომ მასზე ლაპარაკი მეტია. ჩვენ ვლაპარაკობთ პირველ ტიპის (ე. ი. დაჩაგრულ ერის) ნაციონალიზმზე.“ ამ გვარათ ანმა აღიარა, რომ ამ ორ ტიპის ნაციონალიზმს შორის ყოფილა განსხვავება. მაგრამ მისთვის მაინც გაუგებარი დარჩა, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება. ეს აგრეც უნდა ყოფილიყო. ანის შეხედულებით აკი მთელი საქართველო გაყოფილია ორ ბანაკათ; ერთია სოციალ-დემოკრატია და მეორე ყველა დანარჩენი პარტიები, ანუ მოკლეთ, „ჭეშმარიტ ქართველური“ პარტია, „ერთი დიდი რეაქციონური მასსა“ ერთი სიტყვით, შავ-რაზმელობა. „ამათი საერთო თვისებაა ნაციონალური ავტონომია“ და სხ. მაგრამ ყველაფერს რომ თავ... დავანებოთ, როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, სადაც ... ზოგადოებრივი ცხოვრება დასერილია კლასიური წინააღმდეგობებით, და ეს წინააღმდეგობანი ისე აშკარათ არის გადატანილი ადამიანთა გონებაში, რომ უკვე დაწყებულია შეგნებული კლასიური ბრძოლაც; როგორ მოხდა რომ ეს ქვეყანა სხვა და სხვა ბანაკებათ იყოფა... იმისდა მიხედვით თუ ვინ როგორ ეროვნულ მოთხოვნებს აღიარებს? ეს აგრე ხდება მხოლოთ ბურჟუაზიის იდეოლოგების წარმოდგენაში, ნამდვილათ კი არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში ხალხი არ იყოფა პარტიებათ ნაციონალურ საკითხის მეოხებით. ანმა ერთ კვირის შემდეგ იგრძნო თავისი კლასიფიკაციის სიყალბე და მან თვითონვე გაასწორა თვისი შეცდომა. იგი სწერდა: „საზოგადოთ, პარტიების ჩამოყალიბება ხდებარა ნაციონალურ კითხვის ნიადაგზე, არამედ კლასიურის“ („მერცხ.“, № 2) და მან დასამოწმებლათ მოიყვანა იგივ პოლონეთი, სადაც ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთათ ავტონომიას ითხოვენ აგრეთვე სოციალისტურ პარტიები (და მათ შორის სოციალ-დემკრატიაც).

იქნება იფიქროთ ანმა საბოლოოთ გაასწორა თვისი შეცდომა? მაშ მოისმინეთ: „რა გინდ რადიკალი გინდ ანარქისტი იყოს იგი (ე. ი. ავტონომისტი)-სწერს ანი ხუთი დღის შემდეგ—დამახასიათებელი თვისებაა სწორეთ ეს „ერთ რაზმათ“ ქცევა; ამიტომ სრულიად არ არის შემთხვევითი ანის პოლემიკური ჟინიანობა საქართველოს ორათ გაყოფა. ეს ასე მოდის ისტორიულათ დაწყებული ძველი „ივერიიდან“ და გათავებული დღევანდელი პრესით („მერცხ.“, № 6). ასე რომ ანი კვლავ უბრუნდება თავის ყალბ კრიტერიუმს, რომლის მიხედვით ეროვნული მოთხოვნანი ხალხს ანაწილებს პოლიტიკურ პარტიებათ. მისი შეხედულებით ავტონომია მაგ. არ არის ერთ-ერთი პრაქტიკული ღონისძიება წამოყენებული რაიმე მიზნისათვის. არა ის თვითონ არის საბოლოო მიზანი და იდეალი; მასთან ისეთი იდეალი, რომელიც უარმყოფელია სოციალიზმის. ანი განაგრძობს: „ავტონომისტებს არ ძალუძთ ამ იდეალისთვის (ე. ი. სოციალიზმისთვის) ბრძოლა, ვინაიდან მათ მეორე იდეალი, ავტონომია აქვთ საბრძოლველათ. ეს ორი იდეალია, ორი სხვა და სხვა ტაქტიკით და ამიტომ არავითარ პარტიას არ შეუძლია იბრძოლოს ორივესთვის“.

ანი, სასტიკათ ამხედრებული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, წამ და უწუმ თვითონვე იხლართება ნაციონალისტების ბადეში. ვინ არ იცის მაგ. რომ ბურჟუაზიის და განსაკუთრებით დაჩაგრულ ერის ბურჟუაზიის იდეოლოგები (ამ შემთხვევაში ნაციონალისტები) მუდამ იმას ირწმუნებიან, ვითომ მათ აღაპარაკებს მხოლოთ და მარტო ერის ინტერესები, რომ მათი საბოლოო მიზანი და იდეალი არის ეროვნული თავისუფლება, რომ მთელი მათი ფიქრი და ზრახვა მიმართულია ნაციონა-

ლურ საკითხის გადაჭრისაკენ, და ანი აქედან ჩვენი ანი დაასკვნის—არა ოხუნჯობით, არამედ სრულიად სერიოზულათ—წარბშეუხრელათ დაასკვნის: „მაშასადამე, ნაციონალიზმი ეწოდება ისეთ პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომლის მთავარი მიზანია ნაციონალური კითხვის გადაჭრა; **ხოლო ამისთვის** ის ადგენს „ერთ რაზმს“, „ერთ პარტიას, ერთი სიტყვით, აწარმოებს შესაფერ ტაქტიკას“ („მერცხ.“ № 10) ანი ადგენს მთელ თეორიას, მაგრამ მას საქმეს უჭირებს მხოლოთ ერთი გარემოება. აგონდება, რომ შეიძლება სოციალისტურ პარტიამაც თავს იდვას ნაციონალური საკითხის გადაჭრა; ანს აგონდება პოლონეთი, რომლის აჩრდილი მას არ აძლევს მოსვენებას, უწამლავს სიმშვიდეს და ისევე სდევნის, როგორც კაენს აბელის აჩრდილი. ანი თავის გამწარებაში იქამდე მიდის, რომ მზათ არის სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენოს პოლონეთის სოციალისტურ პარტიას.*) მაგრამ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიას სადღა გაექცევა?

ამიტომ ანს ასეთი შესწორება შეაქვს თავის სისტემაში. ბურჟუაზიული პარტიებისათვის ნაციონალური საკითხის გადაჭრა ყველაფერია; ნაციონალიზმი **„მარტო ამ რგოლს აფრინდება და თავის მოქმედების მიზნათ** აღიარებს (ეაზს უსვამს თვითონ ავტორი. იხ. იგივე ნომერი), სოციალისტურ პარტიებისთვის კი იგივე საქმე მხოლოთ მეორე, მესამე და მეთხუთმეტე ხარისხოვანი რამეა. მაგრამ ზოგჯერ თვით სოციალისტური პარტია ისეთ საპატიო ადგილს უთმობს ნაციონალურ საკითხს, რომ ძნელი გასაგები ხდება პირველხარისხოვანია ეს თუ მეორე. ანს არ შეუძლიან ამას ხელი დააფაროს და ამიტომაც იგი შენიშნავს—თუმცა პეტიტით—მარა მაინც შენიშნავს: „სახეში გვაქვს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი პირობები. არა ჩვეულებრივ პირობებში როგორც მაგ. საშინაო ან საგარეო ომია—შეიძლება... ნაციონალური კითხვა მეტათ წინ წამოყენდეს.“ ამით ანი თავის და უნებურათ გამოსასვლელ ხვრელს აძლევს მისგანვე „დატყვევებულ“ ნაციონალისტების ლაშქარს. მართლაც და ამათ სამართლიანათ შეუძლიანთ განაცხადონ, რომ ჩვენ ვიმყოფებით სწორეთ არაჩვეულებრივ პირობებში. სოც. ფედერალისტები მაგ. პოლიტიკურ ასპარეზზედაც კი გამოვიდენ სწორეთ იმ დროს, როცა თვით პეტრე სტრუვე შტუტგარდიდან ხალხს ატყობინებდა: „ქარიშხალი. ჯერ არ ამოვარდნილა, მეხს ჯერ არ დაუჭექნია, მაგრამ ჰაერი უკვე გაჟღენთილია რაღაც ელექტრონისებური ძალებით, რაიც ამღელვარებს გრძნობას და აფრთხილებს გონებასო...“

ცხადია ანის თეორია შემცდარია თავიდან ბოლომდე. შემცდარია **ის** აზრი, ვითომ ნაციონალიზმის ნამდვილი დამახასიათებელი თვისება იყოს ის გარემოება, რომ იგი ერთად ერთ ნაციონალურ საკითხის გადაჭრას ესწრაფებოდეს, რომ „იგი მარტო ამ რგოლს აფრინდებოდეს.“ დღეს არც ერთ თანამედროვე საზოგადოებაში არ მოიპოვება ისეთი პარტია, რომ მხოლოთ ერთ რომელსამე განკერძოებულ საგანს ისაახვდეს მთელ თავის მოქმედების მიზნათ. ასეთია მხოლოთ „სპორტსმენების“ (დარდიმანდების) ჯგუფები, რომელნიც ერთ რაიმე (გასართობ) მიზნისთვის ადგენენ ხოლმე ამხანაგობას. პოლიტიკური პარტია კი—ბურჟუაზიულია ეს თუ პროლეტარული—მუდამ იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრების რთულსა და მრავალ ფეროვან მოთხოვნებს თუ საკითხებს. არც ის არის დამახასიათებელი ნაციონალიზმისა ვითომ ის ნაციონალურ საკითხის გადაჭრას ისახავდეს **მთავარ** მიზნათ, ხოლო სხვებისთვის კი (სოციალისტებისთვის) ეს საქმე იყოს გვერდზე მიგდებული, ან მეტათ დაჩრდილული.“*)

ამ შემთხვევაში, ანი პიტალო ჭეშმარიტებათ იღებს იმას, რასაც ნაციონალისტები თავის თავზე ლაპარაკობენ ხოლმე. ბურჟუაზიის იდეოლოგებს მუდამ პირზე აკერიათ სამშობლო და ერი, იგინი ირწმუნებიან, რომ მათ ეროვნულ ინტერესებზე ფიქრით თვალზე რული არ ეკარებათ, რომ მუდამ თავისი ერის ნიადაგზე დგანან და ანი, რადგან ერთი ერის ბურჟუაზიის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე ერის ბურჟუაზიის ინტერესებს და იმავე დროს ბურჟუაზია პროლეტარიატის მოწინააღმდეგეა, ანი დაასკვნის: „თავისი ერის ნიადაგზე დგომას აუცილებლათ თან მოსდევს სხვა ერის დევნა, მაშასადამე ნაციონალური ბრძოლის გაჩაღება და მუშა-ხალხისათვის გზა-კვალის აბნევა.“ (იხ. ცხოვრების სარკე, № 9). ამრიგათ ანის აზრით, ერთი ერის ინტერესები ეწინააღმდეგებიან მეორე ერის ინტერესებს, ხოლო თვითოეული ერის ინტერესი კი იმის მუშა ხალხის ინტერესებს. აქედან მუშათა კლასის იდეოლოგიისათვის აუცილებელი დასკვნა ასეთია: ნაციონალური ნიადაგი უნდა უარყოფილ იქმნას.

დასახელებულ გაზეთის იმავე ნომერში ანი სწერს: „ისინი (ე. ი. ჩვენი ნაციონალისტები) ნაციონალურ კითხვაში გამოდიან ქართველის, საქართველოს ინტერესიდან და მას უმორჩილებენ სხვათა ინტერესებს. ჩვენ კი გამოვდივართ ყველა იმ ერთა ინტერესებისაგან, რომელნიც საქართველოში და მის ირგვლივ მოსახლეობენ და შეადგენენ ტერიტორიალურათ ერთ ერთეულს —ამიერ-კავკასიას“. (შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ ანისაგან ნიშანში ამოღებული ნაციონალისტებიც, ს. ფედერალისტები, სრულებითაც არ კმაყოფილდებიან საქართველოთი და ისინიც ლაპარაკობენ მთელ კავკასიის მოწყობის საქმეზე. იხ. თუნდ არჩილ ჯორჯაძეს უკანასკნელი წერილი „ამირანი“, №63.) მაგრამ თუ თავის ერის ნიადაგი უნდა უარყოფილ იქმნას, რატომ ღა უნ-

*) ანი სწერს: „მათ (ე. ი. პ. ს. პ.) კრებებზე უდიერათ იხსენიებოდენ რუსეთის მუშები, მათთან კავშირი არ სურდათ, ძირს რუსეთი— საბიტაციო ლოზუნგათ გახადეს!“ („მერცხ.“ № 10).

*) ეს, მართალია, აგრე მოხდა ჩვენში, მარა ეს არის მხოლოთ ერთი წარმავალი ეტაპი ჩვენის საზოგადოებრივ განვითარებისა.

და იქმნას მიღებული მაინც და მაინცა კავკასიის ერთა ნიადაგი? თუ საქმე სივრცეზეა, მაშინ რუსეთის იმპერია ხომ უფრო დიდია კავკასიაზე, რატომ მთელ რუსეთში მოსახლე ერთა ინტერესებისაგან არ უნდა გამოვდიოდეთ, ანუ რაც კიდევ უფრო უკეთესია, რატომ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ მთელი კაცობრიობის ინტერესებით? მეორე მხრივ, თუ კი ერთი ერის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე ერის ინტერესებს, მაშინ ყველა ერების, თუ რამდენიმე ერის ინტერესთა ნიადაგზე დგომა ხომ სრული ულოგიკობაა, ნამდვილი უაზრობაა და აბსურდი!

რადგან ანის აზრით ერის ინტერესები ეწინააღმდეგება მუშა ხალხის ინტერესებს, ამ უკანასკნელთა წარმომადგენელისათვის — და მაშ იმავე ანისათვის — ლოგიკურათ აუცილებელი დასკვნა ასეთია: ერის ინტერესები უნდა მსხვერპლათ შეეწიროს მუშა ხალხის ინტერესებს. მაგრამ ეს ხომ იგივე არის, რაც ერთხელ ბ-ნ არჩილ ჯორჯაძემ გვამცნო, მხოლოთ სხვა ნაპირიდან, როცა იგი სწერდა: „ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო ინტერესები საერთო (ე. ი. ეროვნულ) ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე“. („ცნობის ფურცელი“ №1416, წ.1901 იხ. აგრეთვე №№ 1358, 1438 და სხ.) როგორც ხედავთ აქ ითხოვენ მუშა-ხალხის ინტერესები —დროებით მაინც— მსხვერპლათ შეეწიროს ერის ინტერესებს. ანი ამ დებულებას მხოლოთ უკუღმა აბრუნებს და ითხოვს ერი შეეწიროს მუშა ხალხს. ბ-ნი ჯორჯაძე და ანი ერთი მეორის უარმყოფ უკიდურესობას გვაწვდიან და ამიტომ მათი შეცდომაც ბარ-დაბარია, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ბ-ნი ჯორჯაძე ბურჟუაზიულ თვალთა ხედვის წერტილიდან სრულიად მართალია, ხოლო ანი კი, პროლეტარიატის თვალთა ხედვის წერტილიდან, სრულიად შემცდარია. ამიტომ შეგნებულ მუშებისაგან ორივეს აღნიშნული შეხედულება უნდა უარყოფილ იქმნას...

ონ.



უმეცრების რახარუხი.

იყო ბედნიერი ქვეყანა; სახელათ მას ერქვა გერმანია. იქ ბევრი გამოჩენილი ნიჭის პირები იბადებოდენ, მაგრამ კანტმა თავისი გენიოსობით მთელი კაცობრიობა გააკვირვა.

იყო ბედნიერი ქვეყანა; სახელათ მას ერქვა საფრანგეთი. იქ ბევრი შესანიშნავი პირები იბადებოდენ, მაგრამ თავისი ასტრონომიული გამოკვლევებით ლაპლასმა გენიოსის სახელი დაიმსახურა. მზის სისტემის განვითარების შესახებ კანტმა და ლაპლასმა შექმნეს ერთგვარი თეორია, რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობა დღესაც ეთანხმება.

არის უბედური ქვეყანა, რომელსაც საპელათ საქართველო ჰქვია. ამ უბედურმა ქვეყანამ დიდი ხანია დაკარგა გენიოსთა წარმოშობის ძალა, მაგრამ დღეს ქუთაისში აღმოჩნდა ვინმე სანმანიანი, რომელმაც კანტი და ლაპლასი არა თუ დაჩრდილა, მთლათ უმეცრებათ გადააქცია. ამ მეცნიერებს გენიოსებს უწოდებდენ და წარმოიდგინეთ, თურმე ნიუტონის კანონიც კი არა სცოდნიათ მსოფლიოს დაზიდულობის შესახებ, რასაც ცხადათ ამტკიცებს სანმანიანი. მაშ ყური დაუგდოთ სანმანიანს.

ქუთაისში გამოდის „შინაური საქმეები“, რომელსაც მიზანში ამოუღია ივ. გომართელი და აცხობს და აცხობს კრიტიკულ წერილებს. მე არავითარი სურვილი არა მაქვს, პასუხი გავსცე იმგვარ მოწინააღმდეგეს, რომლის მეცნიერულ საბუთებს წარმოადგენს ჩვენება იმპერატორი პავლესი და დედოფალი ანნასი, მიცვალებული ცოლის თხოვნა ქმრისადმი, სხვა ქალებს ნუ ეპოტინებიო, და სხვ. და სხვ. ამგვარ მოწინააღმდეგესთან მეცნიერული კამათი, მეცნიერების შეურაცხყოფაა. მე მხოლოთ მინდა, დავანახვო მათ, ვისი თვალების ახვევაც სანმანიანს უნდა, თუ როგორი მეცნიერული ავლა-დიდებით გამოდის ის სამწერლო ასპარეზზე და როგორ ატყუებს მოუმზადებელ მკითხველს. ნაკადულში იყო ერთი ჩემი წერილი, საცა სხვათა შორის ვწერდი შემდეგს: მეცნიერების ერთ უმთავრეს ჰიპოტეზას ის აზრი შეადგენს, რომ უძველეს დროს მზე, მთვარე და მზის სისტემის ციაგები წარმოადგენდენ ერთ ადუღებულ სხეულს, რომელიც შეუჩერებლათ ტრიალებდა. ტრიალის დროს მას თანდათან ჩამოშორდენ სხვა და სხვა რგოლები, რომელთაგან წარმოსდგენ სხვა და სხვა ციაგები და დედა-მიწა; დარჩენილი ნაწილი ამ გახურებული სხეულისა არის მზე და სხვ. სანმანიანს ჰგონებია, რომ ეს ჩემი საკუთარი აზრია, მოჰყოლია კრიტიკას და თავისი მსჯელობა დაუწყია ასე: „ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას ამ აჭიბაჭიას, რომ **იგი ნამდვილ მეცნიერულათ მიღებული გიპოტეზა იყოს და თანამედროვე მეცნიერთა შორის ერთი მომხრე მაინც ჰყავდეს** (კურსივი ჩემია).“ ქუთაისის მეცნიერს დავიწყნია, რომ ეს ჰიპოტეზა სწორეთ მეცნიერულათ მიღებული ჰიპოტეზაა, მას ჰქვია კანტისა და ლაპლასის სახელი და თანამედროე მეცნიერთა შორის მას ყველა ეთანხმება, გარდა რასაკვირველია ისეთი მეცნიერებისა, როგორც თვითონ სანმანიანი.

მტყუანს თუ კუდზე ფეხი არ დააჭირე, არ გატყდება. რუსულ ენაზე არსებობს „დედა-მიწის ისტორია“ ნეიმაირისა, გამოცემა 1902 წლისა. პირველ ტომში 64 გვერდზე სწერია შემდეგი, რასაც მე სიტყვა-სიტყვით ვსთარგმნი: „ერთმა უდიდესმა მოაზრეთაგანმა—კანტმა —შექმნა თავისი შესანიშნავი თეორია ციაგთა სი'ტემის განვითარების შესახებ. ამ თეორიით ციაგთა სისტემა წარმოადგენდა ჰაერგვართა მბრუნავ მასსას; ამ მასსის გაციებისა და შეკუმშვის გამო მისი ნაწილები ერთმანეთს

დაშორდენ და გადიქცენ ციაგებათ; უმთავრესი მასსა კი ცენტრში დარჩა.

„თავდაპირველათ კანტის შეხედულებას ყველა არ ეთანხმებოდა, მხოლოთ ორმოცის წლის შემდეგ, როცა იმავე თეორიით გამოვიდა ლაპლასი, კანტის აზრი ყველამ მიიღო.

„მას შემდეგ ბევრი ა'ტრონომიული აღმოჩენა გამოაშკარავდა: ნახეს ურანი, ნეპტუნი და ასტეროვდთა გროვა; ყველა ეს სხეულები მოძრაობენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კანტისა და ლაპლასის თეორიის სიდასტურემ იმატა. **ახლა აღიარებენ, რომ მზე და ყველა ციაგები თავდაპირველათ წარმოადგენდენ საერთო მასსას, რომელიც ნამეტანი სიმხურვალისა გამო ორთქლათ იყო ქცეული და ნეპტუნის ორბიტამდე ეჭირა სივრცე; დროთა განმავლობაში ის შეიკუმშა დღევანდელი მზის მდგომარეობამდე. ამავე დროს - რთქლისა და ჰაერგვარისაგან შემდგარი მბრუნავი ბურთის გარეთი ნაწილები უფრო სწრაფათ ციცდებოდენ უფრო მძლავრათ იკუმშებოდენ და რგოლები სახით ცილდებოდენ უმთავრეს მასსას. რგოლების სკდებოდენ და გააჩინეს ციაგები“**. (კურსივი ჩემია). ამასა სწერს მეცნიერი ნეიბაირი. ახლა თვითონ მკითხველმა გასაჯოს, არის თუ არა მეცნიერულათ მიღებული ჰიპოტეზა ის, რაც მე ავუხსენი ნაკადულის პატარა მკითხველებს, და ჰყავს თუ არა მას თანამედროვე მეცნიერთა შორის ერთი მომხრე მაინც.

ქუთაისის მეცნიერს მეცნიერებამ ულალატა, კანტისა და ლაპლასის თეორია გომართლის ჭორათ აღიარა და ეს შესანიშნავი თეორია ორი გენიოსისა ხელათ გააქარწყლა — იცით, რით? ნიუტონის კანონით! საბრალო კანტო და ლაპლასო! თქვენ რომ ნიუტონი წაგეკითხათ, ხომ აღარ გახდებოდით სანმანიანის საკბილოთ!

სანმანიანს რომ ასტრონომიაში და ფიზიკაში რაიმე ელემენტარული ცოდნა გააჩნდეს, მაშინ ამდენათ ღარ შეირცხვენდა თავს და მიხვდებოდა, რომ კანტისა და ლაპლასის თეორია სწორეთ ნიუტონის კანონზეა დამყარებული.

მე ვსწერდი: მატერია სამარადისოა, მას არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული მეთქი. „ერთი მიბრძანეთ, რომელი მეცნიერება ამტკიცებს ამ აზრსო,“ გვეკითხება ქუთათური მეცნიერი. ქუთათურ მეცნიერს რომ ქიმიისა გაეგებოდეს რამე, მაშინ ეცოდინებოდა— ერთი ის, რომ არარაობისაგან რისიმე შექმნა მეცნიერებისაგან უარყოფილია; მეორე, რომ მსოფლიო მატერია არა კლებულობს, რაც საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა ლავუაზიემ დაამტკიცა. თუ როგორ დაამტკიცა, ეს ქიმიის ყოველ ელემენტარულ სახელმძღვანელოშია აწერილი. ამ ორი დებულების ლოგიკური დასკვნა ის არის, რომ მატერია სამარადისოა: მისი გაჩენა არარაობისაგან შეუძლებელია,—მაშასადამე მას დასაწყისი არა აქვს; ის არ კლებულობს,—მაშასადამე დასასრული არა აქვს.

ამგვარათ ქუთათური მეცნიერი თავის უმეცრებას მეცნიერების სახელით ასაღებს და ამავე დროს გაიძახის: ჩვენი გამოცემები უსუსურიაო. დიახაც რომ უსუსურია! უსუსური რომ არ იყოს, სანმანიანისთანა მეცნიერები ორ სახელმძღვანელოს მაინც წაიკითხავდენ ფიზიკიდან და ქიმიიდან, ვიდრე წერას დაიწყებდენ. ასტრონომიაზე კაცი სწერდეს და ლაპლასის თეორიას არ იცნობდე', ეს მხოლოთ ჩვენშია შესაძლებელი.

(შემდეგი იქნება)

ივ. გომართელი.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

დღეს, 25 მაისს, ზუბალოვის სახალხო შენობაში ცნობილი პოეტი აკაკი წერეთელი წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე შემდეგ სათაურით: „თანამედროვე აზრები, გამოთქმული მეთორმეტე საუკუნეში დიდებულ პოეტ შოთა რუსთაველისაგან“.

—

თბილისში, მანდილოსანთა ჯგუფმა ქ—ნ ა. მ. თუმანიშვილ— წერეთლის თაოსნობით დაარსა ახალი ქართული განმანათლებელი საზოგადოება სახელ-წოდებით „განათლება“. ამ საზოგადოების მიზანია გაავრცელოს სწავლა ღარიბ მცხოვრებთა შორის და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ მოსწავლეებს, გახსნას სამაგილითო სკოლები, წიგნთ-საცავები, სამკითხველოები და სხვა. საწევრო გადასახადი წელიწადში 3 მანეთია. ამ საზოგადოების წესდება წარუდგინეს დასამტკიცებლათ გუბერნატორს.

—

„გურიის რესპუბლიკის“ საქმეზე სამართალში მიცემულთ გაგზავნეს ტელეგრამა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ხომიაკოვის, დეპუტატ მაკლაკოვის და ჩხეიძეს სახელზე და სთხოვენ შუამდგომლობა გაუწიონ, რომ მათი საქმე გაირჩეს თბილისში, როგორც ვიცით სენატმა მათი საქმე გადაიტანა ოდესის სამოსამართლო პალატაში.

—

თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 20 მაისს დაიკეტა ქართული ყოველ-დღიური გაზ. „ცხოვრების სარკე“-

—

მთავრობისავე განკარგულებით შეჩერებულია გამოცემა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ „ალიონი“სა.

—

ამ ოცტა ხანში დაიჭირეს თბილისის აბანოების მუშათა პროფესიონალურ საზოგადოების წევრები; ყველანი მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს. წაიღეს საზოგადოების საქმეები. ეძებენ დასაჭერათ კიდევ სამ კაცს.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 17 მაისამდე ქალაქს ჰქონია შემოსავალი 201,879 მან. 91 კაპ; შარშან კი ამავე ხნის განმავლობაში—210,987 მან. 64 კაპ.

—

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ კავკასიის საერობო თანხიდან მიეცეს საზოგადოებას საბაღოსნო სკოლისთვის 4,000 მან.

—

ზაქათალის მხარეში განუწყვეტელი წვიმები ყოფილა. ახლო მახლო მთები დაუთოვია, რომელსაც საშინელი ზარალი მიუყენებია მეცხვარეებისთვის. ნაპირებიდამ გადმოსულა მდინარე ყურმუხი და რამდენიმე სოფლის ჭინახული წაულეკია.

—

ამავე მხარეს კახის ნაწილის ზოგიერთ სოფლებში მძვინვარებს თურმე გადამდები სენი-სიფილისი.

—

ბათუმის ადგილობრივ ციხეში აღმოუჩენიათ ხვრელი სიგძით 16 არშინი. გარეთ კედელამდის ყოფილა კიდევ გასათხრელი 1½ არშ.

—

მეორე სათათბიროს დეპუტატი მახარაძე, სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის წევრი, გაგზავნეს სევასტოპოლის ციხეში.

—

კომისიამ, რომელიც შესდგა კავკასიის ნამესტნიკთან შატილოვის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა გაიყვანოს ახალი გზატკეცილები ბათუმისა და ყარსის ოლქებში და ზაქათალის მხარეში.

—

როგორც „ზაკავზე“ს ატყობინებენ ტელეგრამით ბაქოდან, იქ აღმოუჩენიათ ასაფეთქებელი ნივთიერებათა დიდი საწყობი. შიგვე უპოვიათ მრავალი ყუმბარა უშველებელი სიდიდისა. საწყობში მოუსწვრიათ რამდენიმე კაცისათვის, რომელნიც გაქცეულან. ატეხილა სროლა, რომლის დროს ერთი მათგანი მოუკლავთ, მეორე დაუჭრიათ.

რუსეთში.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ეკატერინისლავში—სამს, კაზანში ორს, უფაში ოთხს.

—

ეკატერინისლავის ციხეში 250 კაცის ადგილს სულ 750 ტუსაღია მოთავსებული. ბევრ მათგანს ტანზე საცვალიც კი არა აქვს.

—

სევასტოპოლის მახლობლათ გამოქვაბულში აღმოაჩინეს დიდი საიდუმლო სტამბა, რომელიც ეკუთნის ორგანიზაციას სახელით „თავისუფლება თვით ჩვენშიგან არის“. დაატყვევეს მხოლოთ ერთი.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს პეტერბურგში—ექვს, რიგაში-ერთს.

—

ხერსონის გუბერნიაშიც, განსაკუთრებით, ციხეებში, მძვინვარებს სახადი.

—

ქ. კოსტრომაში აღმოაჩინეს ესერების სტამბა, დაატუსაღეს ასოთამწყობი.

—

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ითხოვენ სასწავლო გადასახადის შეუტანლობის-გამო 1,200 სტუდენტს.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ვილნოში—ოთხს, მოსკოვში—ერთს, პენზაში—ორს, ბაქოში—ერთს.

—

პასუხის გებაში მისცეს სახელ. დუმის ყოფილი დეპუტ. კრუშევანი ურიების ასაკლებათ მოწოდებისათვის.

—

კიევში იმდენათ გავრცელდა სახადი, რომ ფიქრობენ სკოლებში ეგზამენები გააუქმონ.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ვარშავაში – სამს, ფეოდოსიაში—სამს.

—

რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის მხრის მემუამლეებმა უკვე მიმართეს თხოვნით სათანადო მთავრობას, რათა მან სასტიკი ზომები მიიღოს სოფლის მუშათა მოსალოდნელ გაფიცვის თავიდან ასაცილებლათ. მათი ცნობით სამხრეთ-დასავლეთის მხრის ზოგ სოფლებში გაჩაღდა აგიტაცია გაფიცვის სასარგებლოთ.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს სმოლენსკში—ერთს, რეველში—შვიდს; სიკვდილით დასაჯეს ხერსონში ორი.

—

გაზეთი „ბესარაბიის ცხოვრება“ კრუშევანს „შანტაჟისტობას“ აბრალებს.

სახელმწიფო დუმა.

სახელ. დუმის სხდომაზე 15 მაისს პირველათ მოისმინეს კანონპროექტთა სარედაქციო კომიისის მოხსენებები, უცვლელათ მიიღეს 7 სხვა და სხვა სრულიათ უმნიშვნელო კანონპროექტის ტექსტი, და უკამათოთ დაადგინეს გადაეცეს ის განსახილველათ სახელმწიფო საბჭოს.

მერე შეუდგა რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტის ხარჯთ აღრიცხვის ანგარიშის მოსმენას, მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: მე თამამათ და ამაყათ შემი-

ძლია ვაღიარო, რომ რუსეთმა გასულ წლებში დიდი დამარ ცხება ნახა ბრძოლის ველზე, მარა მას ორი თუ არა ერთი მეტათ ბრწყინვალე საქმე მაინც მიუძღვის თავის მოქმედებებში; ესაა-მისი რკინის გზების საქმე საზოგადოთ და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა კერძოთ. „ჩვენ თუ საშინლათ დავმარცხდით, ამის მიზეზი სულაც არ ყოფილა, როგორც ზოგიერთებს უსამართლოთ ჰგონიათ, მანჯურიის რკინის გზის სიავ-კარგე; ეს გზა პირ იქით, მინისტრის აზრით, შესანიშნავი იყო და თუ დღე-დე საჭირო სამსახური ვერ გაუწია რუსეთს, ეს იმიტომ რომ დღემდე არ იყო ის ნორმალურ პირობებში ჩაყენებული (მარჯვნიდან ისმის: ვაშა, ვაშა!) რაც. შეეხება ხარჯთ აღრიცხვას, მინისტრს იმედი აქვს, რომ დუმა არ დაიშურებს ფულს ისეთ საქმისთვის, როგორიცაა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, გადადებს საკმაო თანხას და აღჭურავს მინისტრს საჭირო ნდობაუფლებებით. დასასრულ დუმამ ხარჯთ აღრიცხვის ყველა მუხლები მიიღო და კანონპროექტი გადაეცა სარედაქციო კომისიას.

ამავე დღეს დუმამ მოისმინა მოხსენება შესახებ დეპუტატ კოსოროტოვის დუმიდან დათხოვისა. მომხსენებელი აცხადებს, რომ დღეს მან მიიღო დეპ. კოსოროტოვის შესახებ საბრალმდებლო ოქმი, რომლიდანაც ჩანს, რომ დეპ. კოსოროტოვს ეხება ბრალდება 129 სტ. მესამე მუხლის ძალით, ხოლო ამ სტატიის მეორე და მეოთხე მუხლები მას არ შეეხება; **კომისიამ, რომელიც ცხრა წევრისაგან შედგება, ერთხმათ დაადგინა, რომ დეპ. კოსოროტოვი დათხოვილ იქნას დუმიდან.** კამათი ამ საგნის შესახებ დუმამ შემდეგი კრებისთვის გადადო.

შემდეგი სხდომა მოხდა მეორე დღეს, 16 მაისს. ცხრა არა საყურადღებო კანონ პროექტის მოსმენის და მიღების შემდეგ დუმა შეუდგა დეპ. კოსოროტოვის დუმიდან დათხოვნის შესახებ კამათს.

დეპ. მაკლაკოვი კითხვას ორათ ყოფს და ასე აყენებს: ჯერ უნდა გამოირკვეს საკითხი პრინციპიალურათ, თუ რამდენათა აქვს უფლება დუმას დაითხოვოს თავის წრიდან ესა თუ ის წევრი და მერე ამის მიხედვით უნდა გადაწყდეს, დათხოვნილ იქმნას დეპ. კოსოროტოვი კერძოთ, თუ არა? ორატორის აზრით კითხვის ასე დაყენება და მისი პრინციპიალურათ გადაჭრა დუმისათვის საჭიროა და აუცილებელი, ვინაიდან მას არა ერთხელ და ორხელ მიეცემა შემთხვევა პასუხი გასცეს კითხვაზე: გააძეოს თუ არა დუმიდან ესა თუ ის დეპუტატი. მისი აზრით ეს კითხვა დუმის კომპეტენციას შეეხება და ამიტომაც ის მეტათ საყურადღებოთ თვლის, განხილულ იქნას ის პრინციპიალურათ. **მაკლაკოვს** ეთანხმება და მხარს უჭერს დეპუტ. **ბულატი** და **აჯემოვი.**

ასეთ მოსაზრებისა და შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობენ: **თავადი ტენიშევი, შუბინსკი,** (ოქტომბ.) **ზამისლოვსკი, ბარონ მეიენდორფი,** რომელთა აზრით საჭირო არაა დღეს კითხვა პრინციპიალურათ იქნეს განხილული, საჭიროა მხოლოთ დუმამ პირდაპირ დაადგინოს თავის განაჩენი დეპ. კოსოროტოვის შესახებ. კამათი შესწყდა და დუმამ ხმის უმეტესობით (187 ხმ. წინააღმდეგ 128 ხმისა) გადასწყვიტა განიხილოს კერძოთ კოსოროტოვის საქმე.

ლაპარაკობს დეპ. **გეგეჭკორი,** რომელიც აცხადებს, რომ დეპ. კოსოროტოვის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება იოტის ოდენ კრიტიკასაც ვერ უძლებს: ის აშკარა სიცრუეზეა აგებული; ან კი სხვა რას უნად მოელოდეს დღევანდელ მთავრობისგან სოციალდემოკრატია, რომელსაც ეკუთვნის დეპ. კოსოროტოვი და რომლის წინააღმდეგ ისე სისტემატიურათ და გაშმაგებით იბრძვის ჩვენი ბიუროკრატია; კოსოროტოვის წინააღმდეგ ბრალდების წამოყენებით მთავრობამ „ჯვაროსნული“ ომი გამოუცხადა სახელ. დუმის სოციალდემოკრატიულ ფრაქციას და შესძახა: „ძირს სოციალდემოკრატიაო“. ნუ თუ სახელ. დუმა გაჰყვება მთავრობის ასეთ ლოზუნგს? (პურიშკევიჩი ადგილიდან იძახის: „გაჰყვება“!) დიახ, ჩვენ ვიცით, განაგრძობს გეგეჭკორი, რომ პურიშკევიჩები გაჰყვებიან მას, მარა დუმას რომ მარტო პურიშკევიჩი არ შეადგენს!?

მომხსენებელი ბარონ მეიენდორფი შენიშნავს, რომ კომისიამ მიიღო სახეში სწორეთ ის სოციალდემოკრატიული მსოფლმხედველობა, რომელსაც კოსოროტოვი აღიარებს; მის იმგვარ საქადაგებლათ, რომ სისხლის სამართლის ნორმები არ შეილახოს, საჭიროა კაცი აღჭურვილ იყოს უდიდეს დიალექტიური ნიჭით, რასაც ისე მოკლებულია ბრალდებული კოსოროტოვი; ამიტომ ორატორი ფიქრობს, რომ კოსოროტოვი ვერ ასცდებოდა თავის მოღვაწეობის დროს სისხლის სამართლის კანონების დარღვევას. ამ ნაირათ კომისიას საბუთი ჰქონდა ეცნო მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება და ერთხმათ დაედგინა მისი სახელ. დუმიდან დათხოვნა.

მეორე დეპ. **ლიახნიცკი** პრინციპიალურათ ეთანხმება კომისიას, მარა რადგანაც კოსოროტოვის ბრალდება ნათლათ არაა გამოძიებით გამოკვლეული და დეპ. დუმიდან დათხოვა, ეს დუმის ღირსების დამცირებათ ჩაითვლება, დეპ. კოსოროტოვი ისევ დატოვებულ უნდა იქნას დუმაში.

გრაფი **უვაროვი** და დეპ. **სოკოლოვი** თუმცა სხვა და სხვა მოტივებით ხელმძღვანელობენ, მარა კოსორტოვის შესახებ ერთ და იმავე დასკვნამდე მიდიან: მათი აზრით საჭიროა დუმამ დაიცვას თავისი უფლება და დეპ. კოსოროტოვი არ დაითხოვოს.

ამ აზრის წინააღმდეგ ლაპარაკობს რამდენიმე მემარჯვენე დეპუტატი; ლაპარაკობს იუსტიციის მინისტრიც.

მინისტრის აზრით საჭირო არაა, რომ დუმამ სასამართლოს ფუნქციები იკისროს და შეუდგეს იმის გამოკვლევას, თუ რამდენათ საფუძვლიანია რომელიმე ბრალ-

დება რომელიმე დამნაშავე დეპუტატის წინააღმდეგ წამოყენებული. მის უფლებაა მხოლოთ წამოყენებულ ბრალდების მიხედვით გადაწყვიტოს დაითხოვს თუ არა თავის წრიდან ბრალდებულ დეპუტატს. მთავრობის მიზანია, დაასრულა მინისტრმა, ძირიანათ ამოაგდოს ისეთი სწავლა-მოძღვრება, რომელიც ქადაგებს, რაღაცნაირ საოცნებო წყობილებას და ცდილობს ასეთი წყობილების ცეცხლითა და მახვილით დამყარებას; (ხმაურობა მარცხნიდან) მთავრობას სურს, მაღალი იყოს კანონმდებელ კრების ავტორიტეტი და დამოუკიდებელი გახადოს სასამართლო პოლიტიკისგან, რომლითაც ზოგიერთებს ჰსურთ წაბილწონ იგი. (ხმაურობა მარცხნით) მინისტრს უპასუხა ბარონ მეიენდორფმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა შეთანხმებულ იქნას ცალკე კანონის აზრი მთელი ინსტიტუტის იდეასთან და იმ დაწესებულების საფუძველთან, რომელსაც ეწოდება სახელმწიფო დუმა.

მოგონება.

(ი. ევდოშვილის ხსოვნას.)

მახსოვს ოდეს შენი ქნარი
გულს კაეშანს მაცილებდა,
სევდა-ნაღველს მიქავრებდა
სულს სიამით ალხინებდა;

მახსოვს ოდეს შენი მღერა
ნაღველს მგვრიდა, მაღონებდა,
გულს მიწყლავდა იგი მით, რომ,
ხალხის ტანჯვას მაგონებდა;

მახსოვს ოდეს ვით შეჰფერის
ხალხის შვილს და ხალხის შობილს,
ვით მგოსანი ჩანგს უკრავდი
ტანჯვა-კვნესით წარმოშობილს.

ეს კი იყო, როს ყოველმხრივ
გაისმოდა კვნესა მწველი,
ზეცაც სდუმდა და სამყაროს
გადაჰკროდა ღამე ბნელი;

ეს კი იყო, როს მწუხარე
დასტიროდი ღამეს ბნელსა,
ოდესაც შენ უიმედოთ
შესცქეროდი ბრძოლის ველსა;.

ეს იყო, როს ნაღვლიანი
შესჩიოდი ბედის ტრიალს,
ქარის კვნესას, ქარის სისინს
უერთებდი ჩანგის წკრიალს!

* * *

მახსოვს, როს „მესამე დასი“
ცოდნა-შრომის დროშით ხელში,
მოევლინა ქართველ ხალხს და
გული აწრთო მის ნაღველში;

მახსოვს ოდეს იგი დასი
ხალხს ძილიდან აღვიძებდა,
მაშვრალთა და ჩაგრულთ გულში
ღვთიურ გრძნობას აღვივებდა;

მახსოვს, როს მის მცირე გუნდმა
დაჰგმო შიში, დაჰგმო ძრწოლა,
ხალხის მჩაგვრელ ბოროტ ძალებს
გაუმართა მკაცრი ბრძოლა.

(რომელ გუნდსაც წილადა ხვდა
ტანჯვის ჯვარი გოლგოთისა,
მარა მაინც არა დრკება
მედგრათ მიაქვს ბოლომდისა.)

ეს კი იყო, როს მის სვებედს
აჰყვა შენი გულის ძგერა,
როს მის წუხილს გამოსთქვამდა
შენი ჩანგის სიმთა ჟღერა;

ეს კი იყო, როს მის დევიზს
მსახურებდა შენი ძალა
და, როს აღშფოთებულ გრძნობამ
გიკარნახა „მატანტალა“;



ეს კი იყო, როს მის წრეში
შენც მიიღე ნათლის ღება
და, მახლობელ წარსულისა
მგოსანს არ ჰხამს დავიწყება.

*
* *

მახსოვს, ოდეს ხალხის ბოლმამ
გადალახა მჩაგვრელთ ზღუდე
და ძირიდან თხემამდისინ
შეარყია მტარვალთ ბუდე;

მახსოვს, ოდეს ასტყდა ბრძოლა
მედგარი და შიშის მგვრელი,
როს არ სჩანდა ლაჩარი და
უიმედო ცრემლის მღვრელი;

როს ბრძოლის ველს გამ-ვიდა
ხალხი გმირი და დიადი,
აღმოსავლით ცისკარს ვსჭვრეტდით,
ახლოს სჩანდა განთიადი.

ეს კი იყო, როს მტარვალთა
წაიჩოქეს ხალხის წინა
და ვეშაპმაც დაპრილივით
საცოდავათ დაიგმინა;
ეს კი იყო, როს ჩაგრულთა
იგრძნეს ხსნა და იგრძნეს შვება
და ყოველ კაცს ძეხორციელს
სწამდა ხალხის გამარჯვება;

ეს კი იყო, როს შენს „მუზას“
დაეუფლა „მუშის“ ჰანგი,
როს მის დროშას, მის მომავალს
დამღეროდა შენი ჩანგი!

*
* *

ახლა, ოდეს სულს გვიხუთავს
ეს შავბნელი რეაქცია,
როს მან ხალხის მონაქმედი
დაამხო და დააქცია;

ახლა ოდეს ნისლი ჰფარავს
ნათელსა და ჭიატ ღღესა
და ყრუ გმინვათ გამოისმის
ერის გულით მწარე კვნესა;

როს ბრძოლის ველს დაჰქვითინებს
დედა შვილს და ცოლი ქმარსა,
როს გულს მიკლავს კაეშანი
ხალხის ხვედრით განამწარსა,

მარქვი, რატომ აღარ ისმის
შენი ქნარის მწველი ხმები,
რისთვის დაჰგმე ძველი გზა და
შენი ძველი მეგობრები?

მარქვი: რისთვის გადაუდეგ
შრომისა და ბრძოლისშვილებს,
რათ არ დამღერ კვლავ იმათ წყლულს
შენი ჩანგის მკვნესარ სიმებს?

მარქვი, რისთვის დაივიწყე
შენი ღვაწლი და ამაგი,
რეაქციის სიმკაცრის დროს
რათ მოძიე მტრის ბანაკი?!

*
* *

ახლა, ოდეს ყოველის მხრით
მოგვესია მტერთა რაზმი
და შეგვასვა ჩვენ სამსალა
შხამ-ნაღველით შენაკაზმი;
ახლა ოდეს ამხანაგნი
ვისაც აცდა მტარვლის ტყვია,
ციე ქვეყნების, კატორღის და
ბნელ საკანის უმწე ტყვეა;
ახლა, ოდეს მაშვრალთ ვხედავთ
ძაძით მოსილთ, მგლოვიარეს,
როს ყორნები დასჩხავიან
ტანჯულსა და გვემულ მხარეს,
მარქვი, რისთვის უერთდება
იმათ ჩხავილს შენი ხმები?
მარქვი, თუ რამ შეგაყვარა
შენ მოსისხლე ჩვენი მტრები?
მარქვი, რათ ჰგმობ ამხანაგებს
წინ რომ გვიდგენ განსაცდელში
და ვინც ახლაც წინ გვიძღვიან
შრომა-ძმობის დროშით ხელში?
მარქვი, რატომ დაამსხვრიე
შენ უდროოთ შენი ჩანგი?
რათ შესწყვიტე სიმთა ჟღერა
საიმედო მისი ჰანგი?!

სპ. ჭელიძე

ფაგრიკა

(სურათი).

*
* *

მზემ კარგა მაღლა წამოიწია ცაზე, მისი უმანკო სხივები უხვათ მოეფინა მთელ არე-მარეს; ქუჩები ახმაურ-ამოძრავდა. მთელ მუშა თბილისს მოედო საშინელი ხმა მუშა-ქალთა მასსიური დათხოვნის შესახებ. ბევრი მუშა დააფიქრა ამ ამბავმა, ბევრს ელდასავით ეცა ის გულზე, ბევრს ცრემლით გაენამა თვალები...

მუშები ისევ იდგენ ეზოში, ისევ განაგძობდენ ისინი ხმაურობას, იწვევდენ ფაბრიკის გამგეს, მაგრამ ის არ ჩნდებოდა და საღღაც ოთახის კუნჭულში მიმალული უთვლიდა მუშებს ახალ-ახალ მუქარას.

ამდროს მოვიდა რამდენიმე კაცი, რომელთა შორის უფრო ყურადღებას იქცევდა ერთი დაბალი ტანის, შავგვრემანი, ძალაზე ხმელი, სამდომიანი კეთილი სახის გამომეტყველებით. მუშები ერთ წამს დაწყნარდენ, მიესალამენ ახალ მოსულ ამხანაგებს, მერმე მოწინავე მუშებმა მოკლეთ გააცნეს საქმის გარემოება მოსულთ და შემდეგ შეერთებული ძალით შეუდგენ ბრძოლის საშვალებათა გამოკვლევას. სანამ შეუდგებოდენ საქმეს ზოგი დათხოვნილ მუშებიდან უახლოვდებოდა ახალ მოსულ ამხანაგებს და თვალ ცრემლიანი ჩურჩულით ეუბნებოდა: „აბა, თქვენ იცით, ამხანაგებო, თვარა გამოგვეჭრა ყელი“.. დიდი ხნის კამათის შემდეგ საქმის გარემოება გამოირკვა. დაბალი ტანის ახალმოსულმა სიტყვა აიღო. ის გულ ნაღველ მორეული წარსდგა წინ, მიავლ-მოავლო იქაურობას თვალი, შემდეგ მოკლე, მკაფიო და მგრძნობიარე სიტყვაში მდგომარეთ დაახასიათა მუშათა მდგომარეობა დღეს საზოგადოთ რუსეთში და კერძოთ ხსენებულ ფაბრიკაში. სიტყვამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე, რომ ზოგს ცრემლებიც წამოუვიდა თვალებიდან. მან დაასრულა სიტყვა: „ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, სრულიად უგრძნობო უნდა იყოს ის, რომ საშინლათ არ შეაძრწუნოს მისი გული სამოცდაშვიდი მუშის ქუჩაში ულუკმოპუროთ გატყორცნამ იმ დროს, როდესაც ჩვენი უმუშევარი ამხანაგებით ქუჩები სავსეა... მაგრამ ჩვენ გონიერი არსებანი ვართ და გონივრულათ უნდა განვსაჯოთ საქმე. ორი უბედურებისაგან უფრო ნაკლები უბედურება უნდა ავირჩიოთ. კითხვა, თუმცა უკულმართათ, მაგრამ ნათლათაა დასმული — ან უნდა დათხოვნილ იქმნას სამოცდაშვიდი მუშა-ქალი, ან დაიხუროს ფაბრიკა... გაფიცვა, როგორც გამოირკვა, ამ პირობებში ყოვლად შეუძლებელია—ეს მხოლოთ ხელს შეუწყობს მეფაბრიკის გამარჯვებას. ძველი სტიქიური გაფიცვის ხანა წავიდა... ეხლა საჭიროა კარგათ მოწყობილი, მომზადებული. გამოანგარიშებული გაფიცვა, რომლის წარმოება ჩვენ არ შეგვიძლია ჯერ. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მტკიცე ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება ეკონომიურ ნიადაგზე ყველა მუშების განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და პარტიული რწმენისა მჭიდროთ შეერთება ჩვენი მყვლეფელების წინაღმდეგ, —ასეთი ორგანიზაცია უპარტიო პროფესიონალური კავშირია. ჩვენი პატრონები, რომელთაც ჩვენგან ისწავლეს ბრძოლა, დღეს შეერთებული ძალით-ლოკაუტებით და სხვა ათასი ხრიკებით იერიშით მოდიან ჩვენზე და ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს ერთი-მეორეზე გვართმევენ უკან. ამხანაგებო, ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი პატრონების მოქმედება გვიკარნახებს, რომ შეერთდეთ, ძალას ერთობა წარმოადგენს! აი ტვინის შემრყევი ნაყოფი ჩვენი დაქსასულობისა და უთანხმოებისა, —დღეს სხვა გზა აღარა გვაქვს, ჩვენს ამხანაგებს, რომელთაც აქ ჩაუღვრიათ თავიანთი სისხლი და ოფლი, უნდა უთხრათ: წადით, ამხანაგებო, რომ სხვა მუშებსაც ასეთი დღე არ დაადგესო! მაგრამ ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი ჯილდო მოვსთხოვოთ მეფაბრიკეს!“..

სიტყვის ასეთმა ბოლომ თავზარი დასცა დათხოვნილ მუშებს. საშინელი ხმაურობა ასტყდა მათ შორის, უსასტიკესმა მწუხარების ალმა დახრაკა მათი არსება, საშინელმა ძიმწარამ მოსწამლა მათი იმედი „და ტანჯული სული...

საწყლები! მათ დაღვრემილ-დანაოჭებულ უდროოთ მოხუცებულ სახეზე ცრემლის ნაკადულები მოგორავდა. მცირე მათდგან არ სტიროდა და თავჩაქინდრეული რაღაცას ფიქრობდა; ქეთოც, გამცფარი, დაღვრემილი ჩაჰყურებდა დედამიწას, თითქოს სურს ამოიკითხოს თავის უბედურების და სოფლის უკუღმართობის მიზეზი; ზოგს ისტერიკა მოსდიოდა: ან საშინლათ ხარხარობდა, ან თმას იგლეჯდა თავზე და მოსთქვამდა; ზოგი გულწასული ეკეცებოდა მიწაზე, ზოგი ისე გაექვაებია მწუხარებას, რომ ქანდაკებასავით განუძრეველათ იდგა. ერთი შვა ხნის ჩოფურა მაღალი ქალი გულმოგლეჯილ ჩითის კაბაში გამოხვეული წელზე შალ შემოკრული, თმა გაწეწილი ხელებს აქნევდა და საშინლათ ღრიალებდა.

— არა... არა!... აქიდან არაფერი გზით ცოცხალი არ წავალ... სად უნდა წავიდე ახლა!... მთელი ჩემი ქალობა აქ ჩამიტოვია... ფაბრიკის თითეული აგური ჩემი სისხლით და ოფლითაა გაჟღენთილი! . მე გავცივდი აქ, ამ საცეცხლე ფაბრიკაში!.. ეხლა, ეხლა მჩვარივით მაგდებენ აქიდან!.. არა... არა... ათასჯერ არა!.. აქიდან ცოცხალს ვერ გამიყვანს კაცი!... დეე, მომისიონ კაზაკები!.. დეე, ლუკმა-ლუკმათ ამკუწონ... ცოცხალი-კი არას გზით არ გავალ!.. სად წავიდე!.. ვის უნდივარ ეხლა!.. ვინ აჭმევს ჩემ საწყალ ობლებს პურს.. ვინ?..

— ფუი, თქვეს ამხანაგობას!.. ასე უნდა !?.. ჩვენ, ქალებს მიგვრეკავენ... შიმშილით უნდა ამვწყდეთ ჩვენი საწყალი ქმარ-შვილით!.. თქვენ, კაცები ნიშნს გვიგებთ!.. მეხი დაგასქთათ მაგ თავზე!.. თქვენც კვერს უკრავთ „ხაზეინის“ სურვილს და მხარს უჭერთ მას!.. სადაა თქვენი ერთობა!... სადაა თქვენი ამხანაგობა!.. ღრიალებდა მეორე.

— ჩვენ ქალები გავიფიცებით... არც ერთი ქალი არ იმუშავებს... დეე, თქვენ, კაცებმა იმუშავეთ... თქვენ ლაჩრებო!... თქვენ! იძახდა მესამე.

— არა! ჩვენ, მუშები ვართ... ქალი, კაცი-ორივე ერთ ტაფაში ვიწვით... ორივე თავისუფალი დაქირავებული მონა ვართ... ორივე ძალ-ღონეს ვყიდით!. . დეე, გავწყდეთ სიმშილით. გავწყდეთ!... ყველა გავწყდეთ!.. მუშის ბედი ასეთია!.. ჩვენ ვიფიცებით!.. გრძნობა მორეული გაიძახოდა ერთი შვატანის ახალგაზდა, შავგრემანი მუშა მწვანე სამუშაო ბლუზაში, თავზე ქუდმოგლეჯილი, რომლის სახე ლამპარივით იყო ანთებული და ცახცახებდა.

— ვიფიცებით... ვიფიცებით!... ფაბრიკა იფიცება. იფიცება! ან გამარჯვება... ან დამარცხება—ეს ორივე ძმაა!.. დაიღრიალა ფაბრიკაში ჩაკეტილმა ხალხმა, და ფაბრიკის ფანჯრის მინებმა ხრიალ-ხრიალი მოადინეს ძირს.

— კარები გააღეთ!.. კარები!.. ვიფიცებით, ვიფიცებით!... გაუმარჯოს გაფიცვას! გაუმარჯოს!.. ღრიალებდა აღშფოთებული ხალხი. ვიფიცებით!.. თითქოს გუგუნებდა მაშინები; ვიფიცებით!.. ძიძგინებდა კედლები. ვიფიცებით... ღუღუნებდა მტრედები... ვიფიცებით. . გრიალობდა არე-მარე. ამ საერთო ხმაურობას ექსოვოდა ინტერნაციონალის მწყობრი, იმედიანი და ნაღვლიანი მელოდია:

„ბედით წყეულნო, მთლათ გარიყულნო,
ტუსაღებო სიმშილისა,
წამოიწიეთ, შფოთავს გონება,
გვეძახის ველი ბრძოლისა!
წარსული მტვერათ გადავაქციოთ,
შევცვალოთ საძირკველი,
აღზდექ, ამხედრდი, გუშინ არარავ,
რომ დღეს გავხდეთ ყველაფერი!
უკანასკნელი ბრძოლაა,
შევაჯგუფოთ ძალი,
ხვალ ქვეყანა გახდება,
ინტერნაციონალი!..“

ქეთო, თითქოს ძილიდან გამოირკვა, სწრაფათ წელში გასწორდა, ცალ მხარზე შალ-წამოგდებული შეხტა იქვე ახლოს დალაგებულ ფიცრის კონებზე და ხელის ქნევით აღგზნებული მიმართა მუშებს.

— ამხანაგებო! ერთი დათხოვნილ მუშათაგანი ვარ მეც... ჩემ შინაურ გაჭივრებას არ აგიწერთ... ჩვენ ყველა გაჭივრებული ვართ... დალხინებული აქ, ამ ცოცხალთა სასაფლაოში, არ მოიწამლავს თავს... ეხლა, როდესაც რეაქცია მშრომელ ხალხზე თავის გამარჯვებას დღესასწაულობს... როდესაც მას უერთდებიან ჩვენი მყვლეფელები და სისხლის მწოველები... როდესაც ორივე შეერთებული ძალით და ბინძური მიზნით ზღვის აბობოქრებულ ტალღებივით ეხეთქებიან მუშებს... უნდათ ჩანთქან, გაანადგურონ, გათელონ მათი უფლებები... მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ გაფიცვის!.. ნუ ბობოქრობთ!.. დამშვიდდით!... ფაბრიკა არ იფიცება, არა!...

— არა! ფაბრიკა იფიცება, იფიცება!... გაუმარჯოს გაფიცვას!.. გაუმარჯოს მუშის ერთობას! ძირს მყვლეფელები!.. ღრიალებს აბობოქრებული ხალხი.

— ამხანაგებო, გონს მოდით!.. ქეთაუს ითხოვენ.. მაშ მე ვრჩები ულუკმა პუროთ... მე უნდა ვიყო გაფიცვის მომხრე... მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ! წინააღმდეგი!.. გონიერება, ამხანაგებო, გონიერება!.. დღეს სამოცდაშვიდი ოჯახი გლოვობს, ტირის... ხვალ სამასი ოჯახი უნდა ატირდეს... ხვალ სამასმა ოჯახმა უნდა დაიწყოს ქუჩა-ქუჩა ძრწიალი... მრავალი იმათგანი დაადგეს ქურდობა-ავაზაკობის გზას... ციხე, საპყრობილე, ცივი ციმბირი—მათი ხვედრი. მრავალმა ნორჩმა არსებამ უნდა დაიწყოს თავის სხეულით ვაჭრობა და უდროოთ მოიშხამოს სიცოცხლე... აქით მუშათა ძალის შესუსტება და დაცემა!...

— არა! არა!... ჩვენ ვიფიცებით!.. გაუმარჯოს გაფიცვას! ფაბრიკა იფიცება, იფიცება! ჰექდა ახალგაზდა ვაჟების ხმა.

— იფიცება, იფიცება! იმეორებდა ხალხი. ქეთომ ხმა აამაღლა, ის უფრო გასწორდა, შალი მოიგლიჯა

მხრიდან, ის სწრაფათ მოკუმშა და შორს გაისროლა, საყელოს ღილები გაიხსნა, რომ სიცხეს სული არ შეეხუთა. მისი სახე, რომელზედაც ოფლის ღვარი იყო ამდგარი, გაელვარებულ ფოლადივით ელავდა. მან, ორჯელ ხელის ზევით აპყრობით, ენერგიული სახის გამომეტყველებით გაანჩხლებულმა შესძახა.

— ამხანაგებო, გონს მოდით!.. ფაბრიკა არ იფიცება არა... მას არ აქვს ზნეობრივი უფლება, გაიფიცოს.. მას არ აქვს უფლება შეერთებული ძალა დაუქსაქსოს რუსეთის ძლევა მოსილ მუშათა მოძრაობას!.. ამხანაგებო, დამარცხება აუცილებელია!.. მოიგონეთ, ადელხანოვის ქარხნის მუშათა მდგომარეობა!.. ჩვენ, დათხოვნილი მუშები, ერთათ წინააღმდეგი ვართ გაფიცვის, წინააღმდეგი!..

— წინააღმდეგი ვართ .. წინააღმდეგი! თითქმის ერთხმათ დაიგრიალეს დათხოვნილმა მუშებმა.

— არა! ქეთუა სტყუის!.. არ დაუჯეროთ!.. ფაბრიკა იფიცება!.. ჩვენ არ მივცემთ ნებას ხაზეინს დაითხოვოს ჩვენი ამხანაგები... დეე, რაც მოგვივა, მოგვივიდეს ყველას ერთათ! გაჰკივოდა ბრაზით და ამხანაგებისადმი სიყვარულით ანთებული გულგაღეღილი ახალგაზდა მორგვზე შემდგარი და თვალებ აღგზნებული.

დიდი ბრძოლის შემდეგ ქეთოს მიემხრო მუშათა დიდი უმეტესობა. მორგვზე მდგომი ახალგაზდა თვალ-ცრემლიანი ჩამოხტა ძირს, დამარცხებულ ლომივით წავიდა თავისთვის და ერთ კუთხეში გაბრაზებული ჩაჯდა.

კრებამ აირჩია კომისია და მას მიანდო ფაბრიკის პატრონთან მოლაპარაკების გამართვა.

ფაბრიკის პატრონი, კარჩაკეტილ ოთახში, შიშისაგან ცახცახებდა და ყოველ წამში ელოდა—აი-აი ეს არის გაბრაზებული მუშები შემოამტვრევენ ოთახის კარებს და მომკლავენო. მას ხშირათ სიკვდილის ფერი ედებოდა; თითეული მუშათა ამაღლებული, ოთახში შეჭრილი ხმა ჯოჯოხეთურ ტანჯვას უღძრავდა მას გულში. არა ნაკლებ ტანჯვას განიცდიდა გამგეც, რომელიც მის პატრონთან ერთათ იყო ჩაკეტილი ოთახში, გადაჭარბებული შიშისაგან მისი ჩიტური თვალები უაზროთ თამაშობდენ... ფაბრიკის პატრონი წამ და უწუმ ბრაზდებოდა, მისი მსუქანი სახე, და ქონში ჩამჯდარი თვალები თურაშაულ ვაშლივით წითლდებოდა. ამდროს ის იწყებდა ოთახში გაბედულათ სიარულს, ემუქრებოდა მუშებს, უძახოდა მოსამსახურეს, რომ პოლიციაში გაეგზავნა კაზაკებისთვის, მაგრამ წარმოთქმას ვერ ბედავდა, თუმცა მთავრობის მოხელე, რომელიც მოსულიყო მუშათა დათხოვნის მიზეზების გასაგებათ, დაჟინებით ურჩევდა, რომ დაეძახა კაზაკებისათვის და მუშები გაერეკა... ხან მიაშურებდა ის ტელეფონს, უნდოდა ტელეფონით შეეტყობინებია პოლიციისათვის, მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა, რომ ტელეფონის ზარი დაერეკა. ის თავზე ხელ შემოდგმული, დიდხანს რჩებოდა ტელეფონთან, შემდეგ მივარდებოდა ფანჯარას და ცალი ყურით დააყურადებდა მუშებს, მერე გავარდებოდა იქით, დადგოდა ჩქარი ნაბიჯით და ცხვირსახოცით იწმედდა ოფლს სახაზე: მას საშინელი სურათები ელლებოდა თვალწინ — ფაბრიკის გაპარტახება, სიცოცხლის მოსპობა, ცოლშვილის ობლათ დარჩენა, დიდების გაქრობა და სხვა.. ასეთ საშინელ ფიქრებში იყო ის, რომ მასთან მივიდა მსახური და მოკრძალებით უთხრა: „ბატონო, მუშათა წარმომადგენელნი მოვიდენ და შემოსვლას თხოულობენ“, პატრონი, რომელიც ტელეფონთან ჩაფიქრებული იდგა, შეკრთა მუშის სახელის ხსენებაზე და არეულათ წამოიძახა.

— წაეთრიონ აქედან!.. ეხლავ კაზაკები!.. სალდათები!.. მე არავითარი საქმე არ მაქვს მუშებთან!.. სალახანები!.. მე პატრონი ვარ, პატრონი ფაბრიკისა!.. მაგრამ ის მალე გონს მოვიდა და კარებისაკენ მიმავალ მსახურს მიაძახა.

— უთხარ შემოვიდენ! ის სწრაფათ თავის მაგიდას მიუჯდა და მაგიდის უჯრა მოშინჯა დაკეტილია თუ არაო.

კარები გაიღო, და ოთახში შემოვიდენ მუშათა წარმომადგენელნი. სხვა ოთახებიდან გამოცვივდენ კანტორის მოსამსახურეები და პატრონის გვერდით დაირაზმენ. ზოგმა მათგანმა მუშათა წარმომადგენელთ სავარძლები მიართვეს. მუშათა წარმომადგენლებმა ერთი მიავ-მოავლეს თვალი იქაურობას და ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს, შემდეგ უპარტიო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენელმა წარუდგინა მუშათა მოთხოვნები და შეუდგა კითხვების გარკვევას, მან მოკლეთ დაასურათა დათხოვნილ მუშათა მდგომარეობა, მაგრამ მძლავრი და მგძნობიარე სიტყვით გამოსთქვა ის.

დიდი კამათის შემდეგ პატრონი დასთანხმდა, რომ მისცეს მუშებს ოთხ-ოთხი თვის ჯამაგირი იმაზედ მეტი რაც ერგებათ, და თუ ფაბრიკის საქმეები კარგათ წავა, ისევ ეს მუშები მიიღოს და სხვა არა. სხვა პირობა არც ერთი არ მიიღო, თუმცა მრავალი იყო წარდგენილი.

ეს გადაწყვეტილება მიიღეს მუშებმაც. საღამო ჟამს ფაბრიკაში უკვე წესიერება იყო. მხოლოთ აქა-იქ მუშები ჯგუფდებოდენ და ერთი მეორეს წყენით უსაყვედურებდენ საქმის ასე დაბოლოებას.

საწყალი დათხოვნილი მუშები თითო-თითოთ შედიოდენ კანტორაში, იღებდენ ანგარიშს, წყევლა კვრულით სტოვებდენ ფაბრიკას და, ხელში ორ გრში ჩამჯიღული, გულდაწყვეტილი და შეწუხებული მიდიოდენ შინ.

(გაგძელება იქნება)

პ ე ხიდისთაველი.

შავი ქვის მრეწველთა სიეზდი ქუთაისში.

დღევანდელი სიეზდი იმ დროს შეიკრიბა, როცა მთელი შავი ქვის მრეწველობა საშინელ კრიზისს განიცდის როცა არც ერთი მისი წევრი დარწმუნებული არ არის მობრუნდება მახლობელ მომავალში „ყოფილი დრო“, თუ არა. ამას დაუმატეთ საერთო რეაქცია და თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა სულიერი განწყობილება უნდა გამომჟღავნებულიყო კრებაზე.

რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება შავი ქვის მუშებს, რაც შეიძლება ნაკლები მოსამსახურე საბჭოს დაწესებულებაში – აი დღევანდელი სიეზდის ლეიბ-მოტივი, აი მისი ფილოსოფია. ამ ორ კითხვის გარშემო ტრიალებს დღევანდელი კრების მოქმედება, ამაზეა მიპყრობილი საბჭოს ყურადღებაც. მაშ ვნახოთ რა გააკეთა ამ გაუქმების სიეზდმა, რაში აჯობა მან თავის საბჭოს, ან რით ჩამორჩა ის პირველს.

პირველი „მოვალეობა“--მუშებისთვის სასარგებლო დაწესებულებათა გაუქმება, ორივეს ეკთნაირათ ესმით, საბჭოსაც და სიეზდსაც. აქ ძნელი გამოსაცნობია თუ სად თავდება საბჭო და სად იწყება სიეზდი. აქ ორივე ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოდიან და საქვეყნოთ უცხადებენ უმუშევრობით წელში გატეხილ მუშას: გეყო რაც ვიზრუნეთ შენზე, ეხლა დროა უკანვე წავიღოთ ის, რაც „ქარტეხილის ხანაში“ ძალა-უნებურათ დაგითმეთო. ყოველი სიტყვა, რომელიც კი მუშათა სასარგებლოთ წამოსცდება ვინმეს, კრების უმრავლესობაში საშინელ გულის წყრომას იწვევს, ყოველგვარ დაწესებულებას, რომელიც მუშებისთვის არის სასარგებლო, ის გაუქმებას უქადის და კიდევაც მოყავს სისრულეში. საბჭო უცქერის სიეზდის ასეთ რეაქციონურ მოქმედებას და პირზე ღიმილი მოსდის: დახეთ, ამ დაშინებულებსა, მგონი ჩვენც გადაგვაჭარბოსო! კრების ზოგიერთი წევრები, რომლებიც ლიდერებათ იხსენებიან აქ, იქამდისაც მიდიან, რომ კრიზისის ჩამოვარდნას ჭიათურელ მუშებს აწერენ. საბჭო ამ გვარ სისულელემდის არ მისულა, მაგრამ გაკეთებით ბევრი „გააკეთა“, რითაც კრებისაგან მადლობა დაიმსახურა: ჯერ კიდევ აპრილის პირველ რიცხვებში მან ისეთი იერიში მიიტანა მუშებზე, რომ ამას მხოლოთ ქუთათური მოღვაწეები ჩაიდენდენ. მან გამოაცხადა ჭიათურის მუშათა უმრავლესობისათვის დაიკეტოს საავადმყოფოს კარებიო. იცნებ დღეს შენ სამუშაოზე ხარ, ნამდვილ მუშათ ითვლები, შეგიძლია წარმოადგინო ამის საბუთი, იმ შემთხვევაში შენთვის ღიაა საავადმყოფოს კარები, მაგრამ ვაი შენი ბრალი თუ ბედმა გიმუხთლა და უმუშევართა რაზმში მოექეცი, მაშინ არ არსებობს შენთვის ექიმობა. ამ გვარი განკარგულებით საბჭომ თავისი სიკოტრე გამოაცხადა, მას არ ჩამორჩა არც სიეზდი და ჭიათურის საავადმყოფოში 40 საწოლში 15 გააუქმა, მის შესანახად 10,000 მ. მაგიერ 6,000 მ. გადადო. საბჭოს მოსწყინდა მოღვაწეობა და მიახურა იაფ-ფასიანი სასადილოები; კრებამ მოიწონა ეს და თანაც დასძინა—სასადილოები მეტი ბარგიაო. როგორც კრებაზე აღმოჩდა, უმუშევართა დარჩენილი მუშები აუტანელ გაჭივრებას განიცდიან, თავშესაფარიც კი არ აქვთ და ღამეს რკინის გზის სადგურზე ათევენ. გასულმა კრებამ უმუშევართა თავშესაფარისთვის 500 მ. გადასდო, საბჭომ ამ ფულიდან ერთი მანეთიც კი არ დახარჯა დანიშნულებისამებრ, კრებამ მოიწონა ეს და თავის მხრით დაადგინა—უმუშევრებს კაპიკის დახმარება არ გაუწიოთო. მრეწველთა ცივი გული ვერ მოალბო ვერც გუჯეჯიანის, ვერც ჭანიშვილის სიტყვებმა. ასე მწყობრათ მოღვაწეობენ უსაქმობის საბჭო და გაუქმების სიეზდი. ასევე მოიქცენ დაშავებულთა დაჯილდოების საქმეში, მაღაროებში წყლის გაყვანის შესახებ, სახალხო ლექციების მოწყობის საქმეში და სხ. ერთი სიტყვით საბჭოს და სიეზდის მოქმედება მუშის მდგომარეობის გაუმჯობესობაში—ეს გაუქმების საუცხოვო ჰარმონიაა.

დღევანდელ კრების მეორე დანიშნულება—ეს მოსამსახურეთა შტატების შემოკლებაა. მაგრამ, საბჭო არ თანაუგრძნობს კრებას ამ კითხვაში, ის კი არა, წინააღმდეგ გამოდის, თანა მოსამსახურეთა წარმომადგენელი ა. კრინიცკი გამოყავს, რომ ამ უკანასკნელმა თავის „მჭერმეტყველობით“ კრებას დაუმტკიცოს, რომ არც ერთი მოსამსახურის—გარდა „მესამე მრეცხველი ქალისა“—დათხოვნა არ შეიძლება ერთი მხრით ბ. ზდანოვიჩი, მეორე მხრით კრინიცკი ცდილობენ დაუმტკიცონ კრებას, რომ მისი განზრახვა შემოკლების შესახებ უსაფუძვლოა. მაგრამ კრება აქ თავის საკუთარ გზაზე დგება და თუ ბევრი ვერა ცოტათი მაინც ამოკლებს შტატებს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბ-ნ ზდანოვიჩის და ა. კრინიცკის კრებაზე გამოლაშქრებამ. ისინი, რომლებსაც ერთი სიტყვაც კი არ წამოცდენიათ შავი ქვის მუშების სასარგებლოთ, უცბათ კაცთ მოყვარეობამ, შრომის დაფასების სურვილმა შეიპყრო და რაც ძალი და ღონე შესწევდათ უმტკიცებდენ სიეზდს, რომ მოსამსახურეები კისრამდის საქმეშია ჩაფლულიო, თუ კარგად არ დავაკმაყოფილეთ, თავი მოგვეჭრებაო. ამ აზრის არის თავის მოსამსახურეებზე საბჭოს თავმჯდომარე, ამავე აზრისაა თავის-თავზე ბ. კრინიცკი (რომელიც ერთი მრეწველის თქმის არ იყოს, თბილისში უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე ქუთაისში), რომელიც კრებას წასვლითაც კი ემუქრებოდა. საკმარისი იყო კრებას ბუხგალტერის მესამე თანაშემწის ადგილი გაეუქმებია, რომ ბ. კრინიცკი გაბრაზებულიყო: ეს რა ამბავია სტიპენდიების საქმე იღუპებაო და მოყვა იმაზე თუ რა უპირატესობა უნდა მიეცეს ბუხჰალტერს მესამე თანაშემწეს, მესამე მრეცხველი ქალის წინაშე. ბ. კრინიცკის „მჭერმეტ ველობამ“ ცხონებული შჩედრინის ბალალაიკინი მომაგონა; ისიც ხომ ასე თავგამოდებით ამტკიცებდა სამშობლოში დამზადებულ კილკის უპირატესობას საზღვარ-გარეთელ სარდინკის წინაშე. რა აზრის არის კრება? კრების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საბჭო და ბევრი მისი დაწესებულება ინვალიდთა ან უსაქმოთა თავშესაფარია. ამავე აზრის

არიან სარევიზიო კომისიის წევრები, ამასვე სწერს გაზეთ „ზაკავკაზიე“-ში საბჭოს „კეთილის მსურველი“, თუმცა ძლიერ დაგვიანებით. ხსენებული გაზეთი სწერდა: საბჭო —ეს სამინისტროს დეპარტამენტია, აქ არსებობს აუარებელი თანამდებობა, იგივე ითქმის დანარჩენ მის დაწესებულებებზედაც. დიახ ეს ასეა. მაგ. ავიღოთ საბჭოს საბუხჰალტერო განყოფილება, რომელსაც ასე გაცხარებით იცავდა „სპეციალისტი“*) კრინიკი. მთელისაბჭოს ბუჰგალტერია კურდღელს აეკიდება ზურგზე, ამისდა მიუხედავათ, მას სამი „სპეციალისტი“ აწარმოებს, რომელთა ჯამაგირები 3,700 მან. უდრის. ამოდენა ხალხს შეუძლია რთული საკომერციო საქმე აწარმოოს, მთელი ბანკის საქმეები წაიყვანოს. მაგრამ უპატრონო საბჭოს ყველა ეპატრონება, ვისაც კი კუჭი არ აქვს გაფუჭებული. საბჭოს მთელი ბუხჰალტერია შეუძლია აწარმოოს ერთ პირს, უკიდურეს შემთხვევაში ორს, რომელთა ჯამაგირებათ სრულიად საკმარისია 1,800 მ. და არ 3,700 მან. საფინანსო კომისიის აზრით საბჭოს მდივანი, რომელიც 1.500 მან. იღებდა წლიურათ, მეტი ყოფილა თურმე; სატეხნიკო ბიუროს ინჟინერი საპიცკი, რომელიც საბჭოს 3,600 მან. უზის წლიურათ, თურმე, როგორც ს. წერეთელმა და ი. კობიძემ განაცხადეს, ნახევარჯერ. არ არის თავის ალაგზე. (ჩვენ ისიც გვიკვირს, რომ ნახევარჯერ იმყოფება). საბჭოს სამი სანიტარი ყოლია ჭიათურაში, სანიტარების როლს კი, როგორც აღმოჩნდა, უბრალო არა სპეციალისტ-მუშები ასრულებენ. სხვა და სხვა საბჭოს შენობათა გამგეები, რომლებიც წლიურათ 700-700 მანეთამდე ჯამაგირებს იღებენ, თურმე სრულებით საჭირო არ არიან და სხვა და სხვა.

სიეზდმა დაინახა, რომ თავის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ამ უსაქმო ხალხის ჯამაგირებათ იხარჯება. მაგ. საანგარიშო წელს მარტო მოსამსახურეებზე 100,500 მ. ე. ი. მთელი შემოსავლის 37,5% დაიხარჯა. განა გაგონილა ასეთი ხარჯები იქ, სადაც ნახევარჯერ უსაქმოთ სხედან? კრება კარგათ ხედავდა ამას, მაგრამ შესამჩნევათ, მაინც ვერ შეამოკლა უსაქმოთა რიცხვი, თუმცა, მართალია, ჯამაგირები კი შეუმცირა დარჩენილებს. სიეზდმა იქ გამოიჩინა ეკონომია, სადაც ეს საჭირო არ იყო, იქ კი, სადაც შესამჩნევი ცვლილება უნდა შეეტანა ნახევარ გზაზე შეჩერდა. პირველ შემთხვევაში მან განიმეორა თავის საბჭო, მეორეში—ის თავის აღმასრულებელ ორგანოდან შორს ვერ წავიდა.

დ. ს.

*) კრინიკი საბჭოს ბუჰგალტერია.

დ. ს.

პროვინცია.

ხარაგოული. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთის დამდგარი, მუუეცხოვრება თვალსაჩინოთ შეირყა და განადგურების გზაზე ფეხი შესდგა. ამ დიადმა ისტორიულმა მოვლენამ ხათელ ჭეო რუსეთის მცხოვრებთა უმეტესობის მინური და ბირუტყვეული ცხოვრების ძირითადი მიზეზები უმეტრება, ლიბერალი და გონებრივი ლაძაბუნება,

ეი, ამ მიზეზების აღმოფხვრას შეუდგა დღეს რუსეთის მოწინავე ნაწილი ის ამ მიზნით აარსებს სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებებს და ებრძვის ხალხის უსასტიკეს მტერ უმეტრებას. სწორეთ ამ დროს, ხარაგულის მოწინავე საზოგადოება საღათას ძილს მისცემია, დაწვრილმანებულა, მას გულის შემხუთავი და საზიზღარი ჭორების მეტი აღარაფერი აინტერესებს; ის თითქოს მადლიერია, რეაქციის რომელმაც „კრამოლის ბუდე“—ხარაგულის ბიბლიოთეკა-საკითხველო-ცეცხლით გაანადგურა.

არავინ მის განახლებასა და აღდგენას არ ფიქრობს. მაგრამ სამაგიეროთ გატაცებით ეტანება აქაური საზოგადოება იოლ და ფუქსავატ გართობა-მხიარულობას. მოულოდნელს ბუკსა და წინწილას აყვირებენ და ჰარი-ჭარალეს დასძახან.

ე. სანდონიძე.

მუშათა შორის

უმუშევართა შორის. მოგეხსენებათ, რომ 1907 წ. ქ. ობილისში დაარსდა უმუშევართა ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა უმუშევარ ა მიერ არჩეული საბჭო. მას ჰქონდა საკუთარი საბინაო, სადაც ასამდე კაცი საღამობდა. ქალაქის გამგეობა ყოველ თვეურათ აძლევდა მას 75 მანეთს. ერთდროულათ საქმე ძალიან კარგათ მიდიოდა. შემდეგ ქალაქის გამგეობამ მას მოუსპო დახმარება. სხვა წრეებიდანაც შემცირდა შემოწირულება. საქმის წახდენას არსრულებდენ უმუშევართა ორგანიზაციის საბჭოს. საბჭოს წევრები გადაუყენეს და აირჩიეს ახალი სამი კაცისაგან, მაგრამ ახლებმა არ იკისრეს მართვა, რადგან საბჭოს სამასი მანეთი ვალი აღმოჩნდა. ისევ ძველი საბჭო დარჩა, რომელმაც აღუთქვა უმუშევართ, რომ საქმეს გამოგაკეთებთო. მაგრამ მათ თუ რამ დარჩათ კასაში. თავიანთ ჯამაგირებათ დაარიგეს და უმუშევართ კი დახმარება არ გაუწიეს. ბროფესიონალური კავშირების საბჭოს ჰქონდა 250 მანეთი, მაგრამ მას ის უმუშევართა საბჭოსთვის დღესაც არ გადაუცია. უმუშევრებმა მოახდინეს კრება და აირჩიეს ახალი გამგეობა, რომელსაც დაავალა საქმის მოწესობა. ის შეუდგა მოქმედებას. ბირველათ მიმართა ბროფკავშ. საბჭოს ხსენებული ფულის მისაღებათ, მარა მას აქ დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ. საბჭომ ფულები არ მისცა და უმუშევართა ორ-ციას იჭვის თვალით შეხედა. მან გადასწყვიტა, რომ თვითონ ჩარეულიყო უმუშევართა საქმეებში და მოეწესო ის. მაგრამ ამდენი ხანია საბჭოს სეკრეტარიატი

არ 250 მანეთს იძლევა და არც უმუშევართა ორგანიზაციას ეხმარება. ის ათასგვარ ხრიკებს მართავს და გვერდს უხვევს უმუშევართა საქმეს.

დიახ აგრე იქცევა ამ საქმეში საბჭოს სეკრეტარიატი, მაგრამ საბჭოს დადგენილებასა და სიმართლესაც მოლათ ვერ უხვევს გვერდს. კიდევ სდგება საქმე კავშირის წესდებაზე. ჩვენ შევიმუშავეთ წესდება და წარუდგინეთ, მაგრამ იმედი გაგვიტრუვდა.

უმუშავართა მდგომარეობა თბილისში დღითი-დღე უარესდება და მწვავე ხასიათს იღებს; საწყვრო ფულის შემოსავალი სულ თანდათან კლებულობს კრიზისებისა და სხვა ათასგვარ მიზეზების გამო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საბჭო და მისი სეკრეტარიატი გაგვიწევდა ჩვენ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას და ოდნავ შეუმსუბუქებდა უმუშევართ აუტანელ ხვედრს. მაგრამ სეკრეტარიატი თავს არ იწუხებს და დახმარების ნაცვლათ ნიშნს გვიგებს და ამბობს, რომ დახმარება უმუშევართ გარეგნის, გაუზარმაცებსო... მახლას, როგორც სჯრიან, ისე კერავენ!

სეკრეტარიატის ერთ-ერთ კრებაზე მივედი მე, რომ მომეგონ ბინა მისთვის საბჭოს გადაწყვეტილება. სეკრეტარიატის წევრთა ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ ის ორასი მანათი (ეხლა ორასამდე ჩამოვიდა), რომელიც საბჭოს აქვს თქვენ არ გეკუთვნისო, არამედ ის ეკუთვნის თბილისის მთელ უმუშავართო. ბოლოს ადიარა, რომ ერთ ას მანეთს მოგცემთო თუ დავრწმუნდით იმაში, რომ უმუშავართა კავშირი არსებობსო. სეკრეტარიატის იმ წევრმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა უმუშავართა კავშირის არსებობის გაგება, ბროტესტი განუცხადა მოწინააღმდეგე ამხანაგს. „უნდობლობა რა შუაშია აქ—სთქვა მან—უმჯობესია სთქვათ, რომ ფულის მიცემა არ გსურთ, თორემ თითო ორორდა მიზეზი არაოდეს არ გამოიელევაო“.

შემდეგ კამათისა სთქვეს, რომ ეს მანეთი მიიღებთ, მხოლოთ დანარჩენი გადაეცემა სხვა-და-სხვა ბროფესიის მუშებსო. ეგელა თქვენ რომ მოგცეთ, ერთი ამბავი მოხდებაო. თუმცა ეს მიზეზი უსაბუთოა, რადგან როდესაც ეს ფული შეიკრიბა, მაშინ უმუშევართა კავშირი არსებობდა, მრავალი წევრი ჰყავდა და სასადილოც ჰქონდა. წელიწად ნახევარზე მეტია, რომ ეს ფული საბჭოს ხელშია და ამდენხანს მაინცა და მაინც არავისთვის არ გადაუცია. რას ნიშნავს ეს?!

ჩვენის აზრით ამას სჩადის სულ ოთხი ხუთი კაცი და არა მთელი საბჭოს წევრნი. მათ უმეტეს ნაწილს ჩვენ ვიცით, რომ სულითა და გულით ურდა დახმარება გაგვიწიონ, მაგრამ საუბედუროთ, ეს გამონაკლი უმცირესობა მათში დიდ როლს თამაშობს!

ხუთი თვეა რაც ჩვენ გამგეობის წევრები ვწვალობთ და კერ-ფერი ვერ გავაწყეთ. დაახლოებით ის ოცდათორმეტი მანეთი, რომელიც სხვა და სხვა პირებმა შემოგვწირეს, ამ თრეგა-წვალებაში დაგვესარჯა და შეგიწროებულ უმუშევარი კი ვერაფერი დახმარება გაუწიეთ. ვისაც არ მივმართავთ კავშირებს, თუ კერძო პირთ უფლეგან საბჭოზე გვითითებენ. საბჭო კი სდუმს ოთხი ხუთი პირის შემწეობით, სდუმს და დახმარების ნაცვლათ არც ჩვენს ორას ორმოცდაათ მანეთს იძლევა. ვნახოთ როდემდის იქნება აგრე!..

ეორეოლიანი,

უცხოეთი.

ინგლისი. ამ უკანასკნელ წლებში ქალთა მოძრაობა პოლიტიკური უფლებისათვის შესანიშნავათ გაძლიერდა. ქალები მართავდენ უზარ-მაზარ დემონსტრაციებს, მიტინგებს და ხმა-მაღლა მოითხოვდენ მამა კაცებთან პოლიტიკური უფლებით გათანასწორებას. დღეს, უკვე ისეთია ვითარება, რომ მოსალოდნელია სულ ახლო მომავალში განხორციელდეს ინგლისში ეს დიდებული რეფორმა.

მეტათ საინტერესოა ამ რეფორმის ისტორიის ოდნავ გათვალისწინება. ამ რამდენიმე წლის წინეთ, როდესაც კანონ-პროექტი ქალთა უფლების შესახებ შეიტანეს პარლამენტში, პარლამენტმა ის ხუმრობათ მიიღო. სულ რაღაც ათი წლის წინეთ ცნობილი რადიკალი ლაბუშერი ასეთ ბილს სასაცილოთ იღებდა, და კანონ პროექტიც იხჩობოდა საერთო სიცილის მორევში. მაგრამ იდეა არ კვდებოდა და სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს პოულობდა. დღეს პრემიერის განცხადებით ქალთა ემანსიპაციის (განთავისუფლების) მომხრეა არა თუ პარლამენტის უმრავლესობა, არამედ კაბინეტის სამი მეოთხედიც. კომონერ-ლიბერალთა სამოცი კაციდან შემდგარი დეპუტაცია გამოცხადდა ასკიტთან და სთხოვა, რომ ამავე სესიაში შეიტანოს ბილი ქალთა საარჩევნო უფლების მინიჭებაზე. პრემიერმა უპასუხა, რომ მას არ სწამს ასეთი რეფორმის საჭიროება, მაგრამ იცის რა პარლამენტისა და კაბინეტის სურვილი, ის აღფრთოვანებით წარუდგენს პარლამენტს კანონ-პროექტს საარჩევნო უფლებათა დემოკრატიულ რეფორმაზე. ინგლისში 1832, 1867 და 1884 წწ. რეფორმების შემდეგ თითქმის ყველა მამა კაცები სარგებლობენ საყოველთაო საარჩევნო უფლებით. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც ქალაქებში 10 გ. სტერლინგს ბინის გადასახადს წელიწადში—ან სოფელში 5 გ. სტ. იხდის. ეს მაინცა და მაინც ფრთა შეკვეცილია. ამასთანავე შეძლებულ კლასებს აქვთ ორი და სამი ხმა. მაგ. კაცი, რომელიც სცხოვრობს სოფელში, ქირაობს ბინას ქალაქში, აქვს სანადირო ქოხი შოტლანდიაში, სადაც ის მიდის შემოდგომაზე ტყის ქათმების დასახოცათ, სარგებლობს სამი ხმით არსებული ცენზის მიხედვით. გასულ წელში სამინისტრომ წარუდგინა ბილი ასეთი ცენზის გაუქმებაზე, მაგრამ ის უარჰყო ლორდთა პალატამ. ეხლა პრემიერი დაჰპირდა დეპუტაციას, რომ შეიტანს რადიკალურ ბილს არჩევნების შესახებ. მთავრობა პირდება, რომ თუ პალატა ამ ბილში შეიტანს შესწორებას იმ აზრით, რომ ყველა ქალებს მიეცეს საარჩევნო უფლება, ის არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს. აგრე, პრემიერი დაპირდა მეტს, ვიდრე ამას თხოულობენ „სუფრაჟისტკები“ (პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლი ქალები). ამათ სურთ, რომ არსებული საარჩევნო უფლება მიენიჭოს ქალებს, ე. ი. იმ ქალს, რომელიც ქირაობს ბინას და იხდის საბინო გადასახადს ჰქონდენს

საარჩევნო უფლება. პრემიერი კი პირდება საარჩევნო უფლებებს ყველას განურჩევლათ სქესისა. ქალთა ემანსიპაციის მომხრეთა და წინააღმდეგთა შორის არიან რადიკალებიცა და კონსერვატორებიც. რადგან 1832 წლიდან ლორდთა პალატა მოქმედებს ძლიერ ფთხილათ, როდესაც საქმე შეეხება პოლიტიკურ უფლებათა გაფართოებას, შეგვიძლია ვთქვაო, რომ დაპირებული ბილი გახდება კანონათ.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

გასულ თვის დამლევს ქ. ასტრახანში გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთი „ლ ბერი“სა (მოამბე). ეს გაზეთი ასტრახანში სომხურს ენაზედ პირველია რომ გამოდის. გაზეთში მონაწილობას იღებენ მემარცხენე მიმართულების პირები. ჯერ-ჯერობით გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ. აი რას სწერს გაზეთის თავი სარედაქციო წერილში: „ლრაბერი“ გამოჩენა თანამედროვე მოთხოვნილებათა რეზულტატია:

„ადგილობრივი სომხობა ამ ბოლოს დროამდე, წარმოადგენდა თავის კულტურულ და საზოგადო დაწესებულებებით ერთად განცალკევებულ საზოგადოებას რომელიც ჩამორჩენილი იყო ყველას. მოასწრო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. თანამედროვე მოთხოვნილებამ გავლენა იქონია ჩვენს ჩამორჩენილს საზოგადოებაზე.

აი ამ მოძრაობამ აურდაურია მთელი საზოგადოებრივი წესწყობილება და რადიკალურად გამოსცვალა თუ საზოგადოებისა და თუ მის დაწესებულებათა ხასიათი და ცხოვრება..

გამოქვეყნდნენ ახალი მიმართულებანი, რომელმაც მიიზიდა საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილები. აი ამ დღიდგან დაწყობილი, საზოგადო ცხოვრების კითხვების გასარკვევად მწვავეთ ვიგრძენით საკუთარი ბეჭედითი სიტყვის საჭიროება, გაზ. „ლრაბერს“ განსაკუთრებით აინტერესებს ადგილობრივი ცხოვრება და ამ ცხოვრებაში აღძრულ და თანამედროე კითხვათა განხილვა და შესწავლა.

„ლრაბერის“ საშუალებით, ადგილობრივი მკითხველები თავიანთ დედა ენაზედ გაიცნობენ სომხურ პერიოდულ პრესასა, რომლითაც იგი შეკავშირდება კავკასიის სომხობასთან.

„ლრაბერის“ მიზანია აგრეთვე გააცნოს სომხურ და უცხო ლიტერატურასთან და ცხოვრებასთან, და ამ რიგათ გაუღვიძოს და აუმაღლოს მას პროგრესის სიყვარული და ენერგია.

ერთის სიტყვით, „ლრაბერის“ მიზანია, ყოველთვის ფხიზლად შეინახოს სომეხი საზოგადოება, მას ასწავლოს გონებრივი შრომა და არ დაანებოს, რომ მდაბიო ხალხის ინტერესები ფეხქვეშ გათელონ მცირე ნაწილის წარმომადგენლებმა“.

ა. იანცი.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი: